ყვარლის მუნიციპალიტეტის „მედია ცენტრის“ გაზეთი
2023 წელი, 17 თებერვალი, №1 (6562)

# ყვარელი

გამოდის 1932 წლიდან
ფასი 60 თეთრი



## პროგრამა სოფლად არსებული პრობლემების მოგვარებას ისახავს მიზნად

საქართველოს მთავრობის განკარგულებით „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ განსახორციელებლად ქვეყნის მასშტაბით 40 600 000 ლარი განისაზღვრა და ყვარლის მუნიციპალიტეტს 326 ათასი ლარი გამოეყო.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ მოსახლეობასა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შორის ურთიერთობების გაუმჯობესებასა და სოფლად არსებული პრობლემების მოგვარებას ისახავს მიზნად.



ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფლებში მოსახლეობასთან შეხვედრები, საერთო კრების ფორმატში, 1 თებერვლიდან დაიწყო და მუნიციპალიტეტის 21 სოფელში 10 თებერვალს დამთავრდა.

მოსახლეობასთან შეხვედრებს ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი გივი ზაუტაშვილი, მერის პირველი მოადგილე ზურაბ ნემსაძე, მერის მოადგილე გიორგი ქოქიაშვილი, ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ოთარი ბუჯიაშვილი, საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატები, მერიის სამსახურის ხელმძღვანელები და სოფლად ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მოსახლეობასთან შეხვედრებზე, ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფლებში, შემდეგი პრიორიტეტები განისაზღვრა:

მთისძირი - სკვერის რეაბილიტაცია;

ბალღოჯიანი - სკვერის რეაბილიტაცია;

ახალსოფელი - გარე განათების და სანიაღვრე არხის მოწყობა;

ჩანტლისყურე - სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობა და ქსელის რეაბილიტაცია;

ზინობიანი - სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია;

წინწკანაანთსერი - სანიაღვრე არხების მოწყობა;

გაგრძელება მე-2 გვ.-ზე



## ზურაბ ჭავჭავაძემ თავისი ბოზოქარი ცხოვრებით საქართველოსთვის იცხოვრა

ყვარელში მრავალი ღირსეული მამულიშვილი დაიბადა და აღიზარდა. ბევრი მათგანის მძლავრი ფესვები ყვარელს უკავშირდება. ყვარლის მთები და ყვარლის მადლიანი მიწა საქართველოს ბეთლემია, სადაც: „გრიგალთა, მეხთა, ქუხილთ შორის...“ იშვა დიდი ილია, წმინდა ილია მართალი.

საქართველოში ჭავჭავაძეების დიდებული გვარი ყოველთვის გამოირჩეოდა მამულიშვილობით. ყვარლელი ჭავჭავაძეების წარმომადგენლებმა შექმნეს მთელი ეპოქა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. მათი გვარი ღვთისგან დალოცვილი და საქართველოს წინაშე დიდად დამსახურებული გვარია. ჭავჭავაძეები საუკუნეები ერთგულად იდგნენ სამშობლოს სადარაჯოზე.

სახელხმიანი წინაპრების ბრწყინვალე წარმომადგენელია 1980-იანი წლების საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი და ჭეშმარიტი ლიდერი, საქართველოს ეროვნული გმირი ზურაბ ჭავჭავაძე. ზურაბმა თანამებრძოლებთან ერთად გამოაღვიძა



მთვლემარე ქართველობა და თავისი აქტიური მოღვაწეობით ბევრი გააკეთა ეროვნული თვითშეგნების ასამაღლებლად.

ზურაბი დიდი ილიას თაყვანისმცემელი და ილიას გზით მავალი ღირსეული მამულიშვილი გახლდათ. მისთვის ილია და საქართველო სინონიმებს წარმოადგენდა. იგი ილიას იდეებზე აღიზარდა და ჩამოყალიბდა როგორც კაცი, როგორც მამულისთვის, მშობლიური ენისთვის, სარწმუნოებისთვის მებრძოლი ჭეშმარიტი რაინდი.

ზურაბ ჭავჭავაძე იყო მგზნებარე გულის და სპეტაკი სულის ადამიანი, ნათელი და გამჭრიახი გონებით, სიტყვამართალი, ბრძნად მოუბარი, მიზანდასახული, რაინდულად შემართული, დახვეწილი მანერებით და მომხიბვლელობით. მას განგებამ უბოძა განსაკუთრებული, ჯადოსნური უნარი ადამიანებთან ურთიერთობისა; დაანათლა მოყვასის სიყვარული, დიდსულოვნება, კეთილშობილება. იგი იყო სამშობლოს უზომოდ მოყვარული და ერთგული.

ზურაბი მთელ თავის ძალ-ღონესა და სასწაულებრივ შემართებას ქვეყნის სამსახურს ახმარდა. მას სწამდა თავისი

გაგრძელება მე-3 გვ.-ზე

## თხილის ბაღების რეგისტრაცია გრძელდება

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით შემუშავდა პროგრამა,რომლის მიზანია საქართველოში თხილის პირველადი წარმოების ხელშეწყობა თხილის ბაღების მესაკუთრეების (მფლობელების) სტიმულირების გზით. ყველა ფიზიკური პირი, რომელსაც ფაქტობრივ მფლობელობაში 0.2-3 ჰექტარი თხილის ფართობი აქვს, 1 ჰექტარზე გადაანგარიშებით მიიღებს 500 ლარის ოდენობით დახმარებას, რაც ქულების სახით ფერმერებს აგრობარათებზე დაერიცხებათ.

პროგრამის განხორციელება დაევალა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სოფლის განვითარებისა და სურსათის ეროვნულ სააგენტოებს.

2023 წლის 7 ნოემბრიდან 31 იანვრის ჩათვლით ყვარლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელდა თხილის ბაღების კადასტრში დარეგისტრირება.

თხილის ბაღების მფლობელებთან შეხვედრებს დადგენილი გრაფიკის მიხედვით აწარმოებენ სამუშაო ჯგუფები და აწარმოებენ ნარგაობის რეალური ფართობების დაზუსტებას.

ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფლებში ფერმერებთან შეხვედრებს მართავს სამუშაო ჯგუფი, რომლის ხელმძღვანელიც გახლავთ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ა (ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს ყვარლის საინფო-



რმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი ნიკა ბერიაშვილი, რომელსაც ვთხოვეთ კადასტრის მიმდინარეობაზე და შედეგებზე გვესაუბრა.

***— ბატონო ნიკა, რა გვიჩვენა კადასტრმა, 0,2-დან 3 ჰექტრამდე თხილის ბაღების მფლობელი რამდენი ბენეფიციარი გამოვლინდა ჩვენს მუნიციპალიტეტში?***

— ყვარლის მუნიციპალიტეტში თხილის ბაღების კადასტრში რეგისტრაციის პროგრამა დღემდე აქტიურად მიმდინარეობს და დღეის მონაცემებით რეგისტრირებულია 1848 მეთხილე ფერმერი. პროგრამა გაგრძელდება, რაც იმას გულისხმობს, რომ გაიზრდება პროგრამით მოსარგებლე ფერმერების რიცხვიც.

***— თხილის ბაღების უფრო დიდი ფართობების მქონე ფერმერებსაც თუ ხვდებოდით?***

— მიუხედავად იმისა, რომ თხილის წარმოების პროგრამაში პროგრამით გათვალისწინებულ სარგებელს იღებენ მხოლოდ ის ფერმერები, რომელთა საკუთრებაში ან/და სარგებლობაში ან/და ფაქტობრივ მფლობელობაში ჯამურად გააჩნიათ არანაკლებ 0.2 ჰა-დან არაუმეტეს 3 ჰა-ს ჩათვლით თხილის ბაღ (ებ)ის ფართობები, კადასტრში რეგისტრაციას, ასევე გადიან ის ფერმერები, რომელთაც საკუთრებაში ან/და სარგებლობაში ან/და ფაქტობრივ მფლობელობაში გააჩნიათ 3 ჰა-ზე მეტი თხილის ბაღები.

***— სამუშაო ჯგუფი რამდენი ადამიანით არის დაკომპლექტებული, პროცესები როგორ მიმდინარეობს, კმაყოფილი თუ ხართ მათი საქმიანობით?***

— ყვარლის მუნიციპალიტეტში თხილის ბაღების რეგისტრაციას ახდენს სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებულია 5 ოპერატორისაგან, ერთი საველე ოპერატორისაგან და საჭიროებიდან გამომდინარე ერთი ან ორი ექსტენციის

გაგრძელება მე-4 გვ.-ზე

## სახელოვანი მკურნალის – თენგიზ ბოლქვაძის დიდებული ცხოვრების ისტორია და ყვარელთან კავშირი

ცხოვრება ხშირად ლამაზ ზღაპარს ჰგავს, ჯადოსნური ფერებითა და მომხიბვლელი გმირებით. ეცნობი ამ გამორჩეული ადამიანების ისტორიებს და გრძნობ, ისე აღგაფრთოვანებს ზოგიერთის განვლილი გზა, რომ მზად ხარ, დაუსრულებლად შალო მისი ცხოვრების წიგნის ფურცლები. ასევე არ მობეზრდება ალბათ მკითხველს უდიდესი მკურნალის, სახელგანთქმული ექიმისა და მეცნიერის, ლეგენდად ქცეული იოსებ ჟორდანიას სახელოვანი მოწაფის, მისი სამეცნიერო მოღვაწეობის მემკვიდრის, უდიდესი პროფესიონალისა და პიროვნების, თენგიზ ბოლქვაძის ცხოვრებისეული ისტორიების გაცნობა.

მისი ცხოვრების ბოლო წლები გარკვეულწილად ყვარელთან არის დაკავშირებული, ვინაიდან მისი მეუღლე გახ-

გაგრძელება მე-2 გვ.-ზე



# პროგრამა სოფლად არსებული პრობლემების მოგვარებას ისახავს მიზნად



დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

კუჭატანი - სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია;

თხილისწყარო - შიდა საუბნო გზების მოხრეშვა;

შოროხი - სანიაღვრე არხის მოწყობა;

საცხენე - სოფელთან მისასვლელი ხიდის რეაბილიტაცია;

თივი - სასმელი წყლის გამწმენდი ნაგებობის (სადრენაჟე სისტემის) რეაბილიტაცია;

სანავარდო - სასმელი წყლის ქსელის გამრიცხველიანება, სანიაღვრე არხების მოწყობა;

ჭიკაანი - ფეხბურთის მოედნის რეაბილიტაცია, საბავშვო ბაღის ტერიტორიის კეთილმოწყობა, სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია;

გავაზი - სასმელი წყლის საუბნო ქსელის რეაბილიტაცია და ხიდ-ბოგირის მოწყობა;

შილდა - მინისტადიონის საფარის მოწყობა;

ენისელი - სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობა;

საბუე - სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობა;

გრემი - სკვერის რეაბილიტაცია;

ალმატი - სარწყავი არხის რეაბილიტაცია;

შაქრიანი - გარე განათების მოწყობა;

გრძელჭალა - სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობა.

**ალეკო ქაფიანიძე**







# სახელოვანი მკურნალის – თენგიზ ბოლქვაძის დიდებული ცხოვრების ისტორია და ყვარელთან კავშირი

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

ლავთ ყვარელში დაბადებული და აღზრდილი ქალბატონი მაია ნათაძე.

წელს, თენგიზ ბოლქვაძეს 99 წელი შეუსრულდებოდა. საკუთარი თავისთვის არ ჰყვარებია იუბილეებისა და დღესასწაულების გამართვა, სხვებისთვის კი, მეუღლისთვის, მეგობრებისთვის, კოლეგებისთვის და, რაც მთავარია, პაციენტებისთვის მუდამ თავდაუზოგავად ირჯებოდა. ფასდაუდებელია ამ დიდი კლინიცისტისა და მეცნიერის ღვაწლი ქვეყნისა და ერის წინაშე. მარტო ის რად ღირს, რომ მან უამრავ უშვილო წყვილს აჩუქა შვილი, პირველმა დანერგა ჰორმონული კვლევის დარგში ახალი მეთოდები, და ეს მაშინ, როდესაც ენდოკრინოლოგია ჯერ კიდევ, შეიძლება ითქვას, ქვის ხანაში იყო, არ არსებობდა კვლევისა და დიაგნოსტიკის უამრავი მეთოდი, დახვეწილი და სრულყოფილი აპარატურა; მხოლოდ კლინიკურ აზროვნებაზე, გამოცდილებაზე, დიდ ცოდნაზე დაყრდნობით სვამდა მედიცინის კორიფე უტყუარ დიაგნოზებს და მკურნალობდა პაციენტებს. რაინდული ბუნებისა და გარეგნობის არისტოკრატი, თავმდაბალი და კეთილშობილი, – ასე იხსენებენ მას ნაცნობ-მეგობრები. ამ გამორჩეულ პიროვნებას 70 წლის ასაკში ქალიშვილი შეეძინა.

სახელოვანი ექიმის ოჯახის ისტორიით ჩვენც დავინტერესდით და ქალბატონ მაია ნათაძეს ვთხოვეთ ინტერვიუს ჩაწერა, რაზედაც სიამოვნებით დაგვთანხმდა.

***– 37 წლით უფროს მამაკაცს როგორ დაუკავშირეთ ცხოვრება?***

– არ ვაჭარბებ – თუ ვინმე თენგიზს გაიცნობდა, არ შეიძლება არ მოხიბლულიყო და გრძნობა არ გასჩენოდა მის მიმართ. ეს გრძნობა ძალიან ადრე მოვიდა ჩემთან. მაშინ სკოლის მოსწავლე ვიყავი. თენგიზი დედაჩემს მკურნალობდა. დედას მძიმე ფორმის კლიმაქსი ჰქონდა და ამის გამო თენგიზს პერიოდულად ვხვდებოდით. როდესაც პირველად გავიცანი, მოვიხიბლე მისი გარეგნობით და, რაც მთავარია, პაციენტებისადმი დამოკიდებულებით. მაღალი დონის პროფესიონალი იყო, დამსახურებულად უწოდებდნენ დიდ მკურნალს. თურმე მაშინ დედაჩემისთვის მითქვამს – აი, ასეთ ადამიანს ვისურვებდი მეუღლედ მეთქი. 1987 წელს, ინსტიტუტს რომ ვამთავრებდი, გაციების გამო თავად შემექმნა პატარა პრობლემა და გინეკოლოგი დამჭირდა. ახლა მე მოვხვდი თენგიზთან პაციენტის ამპლუაში. ვიცოდი, რომ გინეკოლოგიური ენდოკრინოლოგიის ფუძემდებელი იყო საქართველოში. ჰორმონული კვლევა მანამდე არ არსებობდა მთელ საბჭოთა კავშირში. თენგიზმა, ჟორდანიას ღირსეულმა მოწაფემ და მისი სამეცნიერო მოღვაწეობის მემკვიდრემ, პირველმა დააარსა საქართველოში ჰორმონული დიაგნიოსტიკის ლაბორატორია. ეს იყო გარდატეხა გინეკოლოგიასა და რეპროდუქტოლოგიაში.

***– ბატონი თენგიზისა და იოსებ ჟორდანიას ურთიერთობა ცალკე ისტორიაა, რომელიც ალბათ კოლეგიალობის, მეგობრობის, თანამშრომლობისა და ადამიანობის სახელმძღვანელოდ უნდა გამოიცეს!***

– მართლაც საოცარი ურთიერთობა ჰქონდათ, თბილი, მეგობრული, ნდობასა და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული. გარდა იმისა, რომ კოლეგები და თანამშრომლები იყვნენ, ერთგვარი მამაშვილური დამოკიდებულებაც შეინიშნებოდა მათ შორის. თენგიზი ჟორდანიას თავის პედაგოგად მიიჩნევდა, აფასებდა მის ამაგსა და თავდადებას. თავადაც მუდამ მხარში ედგა. თენგიზს ჟორდანიას შვილად მოიხსენიებდნენ. ამ ფაზიქი დამოკიდებულების დასტურია სიცოცხლითა და იმედებით აღსავსე ჟორდანიას უკანასკნელი წუთები საქართველოში და, ასევე, უკვე ლეგენდად ქცეულის დაბრუნება მშობლიურ ქალაქში. პირველ შემთხვევაში თენგიზი მის გვერდით იყო და მსოფლიო კონგრესზე აცილებდა, მეორე შემთხვევაში კი მოიხადა უდიდესი ქრისტიანული ვალი – იოსებ ჟორდანიას ნეშტი საქართველოში ჩამოასვენა.

***– ასაკობრივ სხვაობაზე არაფერს ვიტყვი – განსხვავებული პროფესიული ინტერესები არ გიქმნიდათ ბარიერებს ერთად ცხოვრებაში? ერთი და იმავე პროფესიის წყვილები ხშირად აღნიშნავენ, რომ ერთმანეთისა უკეთ ესმით...***

– როდესაც შევუღლდით, თენგიზი 65 წლის იყო, მე კი 28-ის. დიდხანს თქვენობით ველაპარაკებოდი. ასაკობრივი სხვაობის გამო კი არა, არამედ იმ დიდი პატივისცემის ნიშნად, რომელსაც თენგიზი იმსახურებდა. თავადაც საოცრად ფაქიზი და სათუთი დამოკიდებულება ჰქონდა. მარტო დიდი ექიმი კი არ იყო, ფართო დიაპაზონის პიროვნებაც გახლდათ, მრავალმხრივ განათლებული, შესანიშნავად უკრავდა პიანინოზე, ცეკვავდა, მღეროდა, ძალიან უყვარდა ხელოვნება და ყველანაირად მიწყობდა ხელს, სიამოვნება მიმეღო ჩემი სპეციალობისგან.

მე ხელოვნებათმცოდნე ვარ, ოპერა განსაკუთრებით მიყვარს. თუნდაც ის რად ღირს, რომ თენგიზი ფულს არ ზოგავდა ჩემთვის საყვარელი მარია კალასის ფირფიტების შესაძენად. მოგეხსენებათ, მაშინ ფირფიტები ადვილად არ იშოვებოდა, ერთი ხელფასის ოდენობის ფასი ედო თითოს. მიუხედავად ამისა, თენგიზი მაინც ყიდულობდა ჩემს გასახარად, ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ ხშირად დავსწრებოდი კონცერტებს, ჩემი საყვარელ მომღერლებისა თუ მსახიობებისთვის მიმერთმია ყვავილები. როდესაც ლუჩანო პავაროტი ჩავიდა მოსკოვში და საინფორმაციო გადაცემა „ვრემიამ“ გადმოსცა, ხვალ დიდ თეტრში საქველმოქმედო კონცერტს გამართავს ეს მსოფლიო მნიშვნელობის ტენორიო, თენგიზმა დილის 6 საათზე მანქანით წამიყვანა აეროპორტში და გამაფრინა მოსკოვში ამ კონცერტზე დასასწრებად.

***– ალბათ მამაც ასეთივე გამორჩეული და მოსიყვარულე იყო...***

– ღვთის საჩუქარს უწოდებდა ევას. თენგიზმა იმდენი უშვილო წყვილი გააბედნიერა, რომ უფალმა 70 წლის ასაკში მას მეორე ქალიშვილი აჩუქა (უფროსი ქალიშვილი პირველი ქორწინებიდან ჰყავდა). „ღმერთმა გიძღვნა შვილი, მე მცირედ გავისარჯე!“ – თავმდაბლად უცხადებდა იმედგაცრუებულ წყვილებს დიდი მკურნალი. მართლა უდიდესი პროფესიონალი იყო, მოაზროვნე დიაგნოსტი და ფართო პროფილის კლინიცისტი. უტყუარ დიაგნოზს სვამდა, კომპიუტერული სიზუსტით, მის დასკვნას ვერავინ ცვლიდა. ფართო პროფილის ცოდნა ჰქონდა, კარგად ერკვეოდა არამხოლოდ მეანობასა და გინეკოლოგიაში – ომის დროს წალკაში მუშაობისას პედიატრიც იყო და თერაპევტიც, ფთიზიატრიც და ქირურგიც. ამას უკვალოდ არ ჩაუვლია, ის დიდ მკურნალად ჩამოყალიბდა. ექიმად უნდა დაიბადო, ექიმი ვერ გახდებიო, ამბობდა. ძალიან პოპულარული იყო. მარტო საქართველოში კი არ აფასებდნენ, ქვეყნის ფარგლებს გარეთაც დიდ პატივსს სცემდნენ. ხელისგულზე ატარებდნენ სამსახურში და ინსტიტუტის გარეთ. ინსტიტუტიდან მისი გამოსვენება ამ დიდი სიყვარულისა და პატივისცემის დასტური იყო. ასეთი პატივი ყველასთვის არ მიუგიათ.



***– ალბათ ბევრს აოცებდა, 70 წლის ასაკში მამა რომ გახდა...***

– ხშირად მეკითხებოდნენ: „ალბათ არ სვამს და არ ეწევა, ხომ?“ თენგიზი ფიზიკურადაც და სულიერადაც ჯანმრთელი იყო, შინაგანად მუდამ ახალგაზრდა. ცხოვრების ჯანსაღ წესს მისდევდა, თუმცა მისთვის არაფერი ყოფილა უცხო, არც მოლხენა და არც დროსტარება. უბრალოდ, ყველაფერი ზომიერად იცოდა, გარდა მუშაობისა. სიამაყეს და ბედნიერებას მანიჭებდა მის გვერდით ყოფნა! პატარა ევა თენგიზის ცხოვრების სტიმული და ძალა გახლდათ. მათ ექვსი ულამაზესი წელი გაატარეს ერთად. მძიმე სენით შეპყრობილი თენგიზი თვალცრემლიანი ევედრებოდა ექიმებს, უნდა მაცოცხლოთ, ევა მყავს გასაზრდელიო. თირკმლის სიმსივნით გარდაიცვალა. ლაურ მანაგაძე 7 თვის განმავლობაში თავდაუზოგავად იბრძოდა მის გადასარჩენად. რომ არა მისი უდიდესი რწმენა, თავგანწირვა და თანადგომა, თენგიზი ვერ გაუძლებდა ვერც ოპერაციისა და ვერც მკურნალობის ხარჯებს. მე ორი წელი ვუმალავდი ევას მამის გარდაცვალებას. თენგიზის ამ ქვეყნიდან გაცილებისას ევა ახლობლებთან იმყოფებოდა, მერე კი ვატყუებდი, რომ მამა მოსკოვში იყო სამკურნალოდ წასული. მოდიოდნენ მეგობრები, ნათესავები და თენგიზის სახელით ვითომდა მისი გამოგზავნილი საჩუქრები მოჰქონდათ. ევა ამაყობს, რომ „დაკას“ (ასე ეძახდა ბავშვობაში მამას) შვილია. მამის ნათელი სახე, მის მიერ დათესილი სიკეთე მუდამ გაუნათებს გზას!

***– ქალბატონო მაია, თქვენი ქალიშვილი ევა ბოლქვაძე მეცხრე კლასიდან წერდა ჩანახატებს, ხვდებოდა ცნობილ ადამიანებს და იღებდა ინტერვიუებს, რა სპეციალობა აირჩია და ამჟამად სად მუშაობს?***

– საქართველოში ცნობილი ადამიანების ვარსკვლავების გახსნას და საინტერესო ღონისძიებებს ყოველთვის ესწრებოდა ევა. ბევრი სახელოვანი ადამიანი ჰყავს ჩაწერილი – მსახიობები, მომღერლები, კომპოზიტორები, მწერლები: ჭაბუა ამირეჯიბი, გურამ დოჩანაშვილი, დათო ტურაშვილი და ა.შ.

ჩვენი ოჯახის მეგობარი ნუგზარ რუხაძე ჰყვება – ჩავრთე ტელეიზორი და რას ვხედავ, პრეზიდენტ სააკაშვილს უზის პატარა გოგონა და მისგან ინტერვიუს იღებს. ამოვიცანი ჩემი ევა, ჩემი უახლოესი მეგობრის შვილი.

მიუხედავად ჟურნალისტიკით ასეთი გატაცებისა, ევამ სულ სხვა სპეციალობა აირჩია და 2012 წელს თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტზე ჩაირიცხა, გიზო ჟორდანიასა და ნანუკა ხუსკივაძის ჯგუფში სწავლობდა. თუმცა მესამე კურსიდან გადავიდა ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა ილიაუნის უნივერსიტეტში პიარისა და მარკეტინგის სპეციალობით სამაგისტრო პროგრამაზე, საბოლოოდ ცოდნა გაიღრმავა ავსტრიაში ზალცბურგის უნივერსიტეტში.

***– სად მუშაობს თქვენი ქალიშვილი და ოჯახურ მდგომარეობაზე რას გვეტყვით?***

– ამჟამად ევა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მედია მენეჯერია. ჰყავს მეუღლე და ქალიშვილი ანასტასია.

***– ქალბატონო მაია, გვიხარია, რომ ასეთი ნიჭიერი და წარმატებული ქალიშვილი გყავთ. უფალი იყოს თქვენი შემწე და მფარველი.***

**ესაუბრა**

**ალექსანდრე გიგილოშვილი**

# ზურაბი რომ ცოცხალი ყოფილიყო, 70 წლის იუბილეს, უთუოდ ყვარელში აღნიშნავდა



დიდი ილია ბრძანებდა: „ვინც თვითონ მოიპოვებს სახელს, იგი ბევრით წინ არის იმაზედ, ვისაც სახელი მამა-პაპათაგან რჩენია და რგებია. ამიტომაც არის თქმული უფრო სასახელოა კაცმა თავის გვარიშვილობა ასახელოს, კიდე სახელოვანი გვარიშვილობით ამაყობდესო“.

ზურაბ ჭავჭავაძე თავისი გვარიშვილობითაც ამაყობდა და თავისი ცხოვრებით გვარიშვილობაც ასახელა. ზურაბის დედა – ქალბატონი თინათინ ცაგარეიშვილი ზურაბის დაკრძალვის შემდეგ ხშირად მობრძანდებოდა ხოლმე ყვარელში, მუზეუმის თანამშრომლებს ახლო ურთიერთობა გვქონდა მასთან და ჩვენთან საუბრის დროს თვალებში ცრემლებჩამდგარი იხსენებდა ზურაბის ბავშვობას. „ერთ-ერთი მათგანი – ქუჩაში მინადენი დედა-შვილი მოპირდაპირე მხრიდან შემხვედრ მამაკაცს პატარა ზურაბისათვის შეუძახნია კნიაზს გაუმარჯოსო, ეტყობა მოეწონა ქართულ სამოსში გამოწყობილი ლამაზი ბიჭი. ზურაბი კი კარგა ხანს ეკითხებოდა თურმე დედას რა იცოდა იმ კაცმა რომ მართლა კნიაზი ვარო“.

ახლობელთა და მეგობართა წრეში ხომ „კნიაზს“ ეძახდნენ ზურაბს.

როცა ზურაბი დაბადებულა, მამამისს, ბატონ ნიკო ჭავჭავაძეს, ფილოსოფიის ინსტიტუტში მისულს, თანამშრომლებისთვის, რომლებიც იმ მომენტში საქართველოს სვე-ბედზე ბჭობდნენ, გახარებულს უთქვამს, წუხელის ისეთი ბიჭი დაიბადა, რომ ყველაფერი კარგად იქნებაო. მართლაც „ისეთი ბიჭი დაბადებულა, დაურქმევიათ თურმე ზურაბი“...

ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლის, პაპის, ზურაბის სახელი დაარქვეს პატარას, რომელიც სამშობლოს თავისუფლებისთვის ბრძოლაში მონაწილეობის გამო ურალში გადაასახლეს, სადაც გარდაიცვალა 36 წლის ასაკში.

განგებამ ზურაბს მრავალმხრივი სიკეთე მოჰმადლა: გარეგნობა, ვაჟკაცობა, ნიჭი საფუძვლიანი და ღრმა განათლება. თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე სწორუპოვარი იყო როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენელი, როგორც მეცნიერი-მკვლევარი, როგორც ქართული კულტურის ძეგლების მეგობარი და მკვლევარი.

მარტო ის რად ღირს, რომ იგი თბილისის სახ. უნივერსიტეტში და გერმანიაში იენის უნივერსიტეტში ურთულეს მეცნიერების ქიმიის საფუძვლებს ეუფლებოდა და პროფესორ-მასწავლებლებიც დიდ სამეცნიერო მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ კი ქართული ფილოლოგიის საკითხებით დაინტერესდა და არაერთი მშვენიერი სამეცნიერო ნაშრომიც გამოაქვეყნა, რომელთაგან განსაკუთრებულად აღსანიშნავია სადისერტაციო ნაშრომი დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისა“. ამ ნაშრომით ზურაბი ფილოლოგიური მეცნიერების წინაშე წარსდგა როგორც სამეცნიერო კვლევა-ძიების გაუნელებელი სურვილის მქონე ახალგაზრდა.

1979 – 80 წლებში ზურაბი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესის და უნეტარესის ილია მეორის პირადი მდივანი იყო. ეს პერიოდი მისთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო. განსაკუთრებით დაინტერესდა საარქივო მუშაობით და სასულიერო ტექსტების გაცნობით. დიდი ინტერესი გამოიჩინა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ არსებული ძეგლების მდგომარეობით. მისი მოუღლელი შრომის შედეგად მრავალ ეკლესიაში აღდგა ღვთისმსახურება. ზურაბის დამსახურებაა ყვარელში საგვარეულო ეკლესიის აღდგენა და გახსნა, სადაც დიდი რუდუნებითა და შრომით აღადგინა თავისი დიდი წინაპრების საფლავები, რომლის მოწმეც მე თვითონ ვარ.

ზურაბმა დიდი შრომა გასწია არქიმანდრიტ გრიგოლ ფერაძის, ამ დიდი მამაულიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესასწავლად. იგი პირადად ჩავიდა ვარშავაში და გადაიღო მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი გრიგოლ ფერაძეზე.

1888 წლიდან ზურაბ ჭავჭავაძე, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობის წევრია, როგორც საზოგადოების წევრმა და უფრო სწორად ლიდერმა თავისი მოღვაწეობის მიზნად ილიას გზა აირჩია და დასაწყისშივე წერდა კიდეც: „სადაო არ უნდა იყოს – ქართული საზოგადო მოღვაწეობის ღირსება-ნაკლოვანებას არსებითად განსაზღვრავს ის, თუ რამდენად მტკიცედ დგას იგი დიდი ილიას მიერ მონიშნულ გზაზე“;



ამ მონიშნული გზით ჩამოყალიბდა მისი შეხედულებები იმ დროისთვის მთელ კავშირში და საქართველოში განვითარებული მოვლენების შესახებ, რომელთა განსახორციელებლადაც იგი თავგამოდებით ილვწოდა. „თავისუფლება მოვა და ეს დიდი ხნის ნანატრი დღის დადგომა შესაძლოა მარტო ჩვენზე არ იყოს დამოკიდებული, მაგრამ ის, რომ თავისუფლება შევინარჩუნოთ და არ დავუშვათ დამოუკიდებელ საქართველოს ხელმეორედ ანექსია მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი საზრუნავია. ამიტომ მორალურ – ფსიქოლოგიური და ზნეობრივი მომზადება ქართული ერისა ჩვენი უმთავრესი ამოცანაა“.

ამ პერიოდისათვის საქართველოში განვითარებული მოვლენების ყველაზე საჭირბოროტო საკითხები იყო აფხაზეთი და სამაჩაბლო, რომელიც საქართველოს დაუძინებელი მტრის უჩინარმა ხელმა ქვეყნის ცხელ წერტილებად აქცია. ზურაბის აზროვნება მტკიცედ და თანმიმდევრული იყო აფხაზური და ოსური ეროვნული პრობლემების მიმართ.

„30 საუკუნეზე მეტია ქართველები და აფხაზები ერთიანი კულტურული და პოლიტიკური ცხოვრებით ცხოვრობენ, ერთიან სახელმწიფოში, კერძოდ, დღევანდელი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ჩვენი აზრით აფხაზებს ხელშეუხებელი უფლება აქვთ სრულ კულტურულ ავტონომიაზე, რაც არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს საქართველოსგან გამოყოფის უფლებას, ანუ აფხაზეთის მკვიდრი ქართველი მოსახლეობის უფლების შეზღუდვას“.

„არ არსებობს ისეთი აფხაზურ ეროვნული პრობლემა, რომელიც ეწინააღმდეგებოდეს ქართულ ეროვნულ პრობლემას და პირიქით; ჩვენ დიდი სიხარულით მივიღებთ ილიას საზოგადოებაში ჩვენს აფხაზ ძმებს და დიდი თანაგრძნობით, მთელი ძალისხმევით ამოვუდგებით მხარში აფხაზურ ეროვნული პრობლემების მოსაგვარებლად;

ასეთივე მიდგომა ჰქონდა ზურაბ ჭავჭავაძეს სამაჩაბლოს რეგიონთან დაკავშირებით „ოსეთიდან საქართველოში ოსთა ჩამოსახლების პროცესი საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა, მაგრამ მას არასოდეს მიუღია ოსების მიერ საქართველოს მიწების დაპყრობის ხასიათი... სხვადასხვა ძნელბედობის გამო თავისი ისტორიული სამშობლოდან გამოქცეული ოსები სახლდებოდნენ ქართულ სოფლებში ქართველთა გვერდით და ცალკეულ მაღალმთიან სოფლებსაც კი აარსებდნენ ქართველ ხელისუფალთა ნებართვით. მაგრამ მთელი ისტორიის მანძილზე 1922 წლის 22 აპრილამდე კავკასიონის სამხრეთით არ ყოფილა თუნდაც უმნიშვნელო ოსური სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი ჩანასახის სტადიაშიც კი. ამიტომ არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს ოსური სახელმწიფო, როგორც ასეთი, საქართველოს ტერიტორიაზე. რაც შეეხება იმ ოსებს, რომლებიც ისტორიული კატაკლიზმების შედეგად აღმოჩნდნენ და საქართველოს ტერიტორიაზე და აქ მეორე სამშობლო ჰპოვეს, ჩვენ იმის მომხრენი ვართ, რომ მათ ჰქონდეთ ფართო კულტურული ავტონიმია, რათა სრულფასოვნად განავითარონ ოსური ენა, მეცნიერება, კულტურა, ტრადიციები და ეროვნული თვითშეგნება“.

როცა სოხუმში ილია ჭავჭავაძის საზოგადოების სოხუმის ხელმძღვანელმა ვოვა ვეკუამ მიტინგზე თავის გამოსვლა დაამთავრა სიტყვებით „ჩვენ მაინც მოვნახავთ გზებს აფხაზთა გულებისკენ“ ზურაბის მიერ თანმიმდევრულად შედგენილი გეგმის გამოძახილი იყო. ამ სიტყვებისათვის მოკლეს ვერაგულად ეს მშვენიერი ახალგაზრდა ვაჟკაცი, აფხაზთა და ქართველთა მტრებმა. ვოვას სიკვდილი ზურაბისათვის მძიმე დარტყმა იყო. ვოვას მკვლელობის როგორც ასე შეფასება; „საქართველოს მთლიანობა, აფხაზეთის საქართველოდან განუყოფლობა არის საქართველოს ინტერესების ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა, და სწორედ საქართველოს ამ უპირველესი ამოცანისათვის ბრძოლას შეეწირა ჩვენი დაუვიწყარი ვოვა ვეკუა“.

განსაკუთრებული, მჭიდრო, მეგობრული ურთიერთობა ქონდა ზურაბს თავის მამასთან, ბატონ ნიკო ჭავჭავაძესთან ერთად სამხრეთ ოსეთის მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლებთან, რომლებიც ყოველნაირად ცდილობდნენ წინ აღდგომოდნენ იმ ძალებს, რომლებიც ნაციონალურ შუღლს აღვივებდნენ ქართველ და ოს ხალხს შორის. ცხინვალელები დიდხანს მუზეუმივით საგანგებოდ უფრთხილდებოდნენ იმ ბინას, რომელშიც ბატონი ნიკო და ზურაბი იმყოფებოდნენ ხოლმე ოს ხალხთან დიალოგის გასამართავად ჩასულნი. სავადმყოფოში მძიმე ავადმყოფი ზურაბის საწოლ ოთახთან მისი ოსი მეგობრების რიგი იდგა სისხლის გასაღებად, რომელიც ასე ძალიან სჭირდებოდა მას.

ფრიად საყურადღებოა ზურაბ ჭავჭავაძის მონაწილეობა და მისი დამოკიდებულება 9 აპრილის მოვლენებთან დაკავშირებით, რომელიც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თარიღია. ქართველი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში. 4 აპრილს ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ხელმძღვანელობით მოეწყო მშვიდობიანი დემონსტრაცია, რომელსაც 5 აპრილს, ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის სხვა ლიდერებიც შეუერთდნენ, დემონსტრაციის მიზანი შეცვალეს და მოვლენები სულ სხვაგვარად განვითარდა და ბოლოს მოხდა ის, რაც მოხდა... ალბათ ისტორია განსჯის ყოველივეს...

ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი იყო შუა აზიაში გადასახლებული მესხთა სამშობლოში დაბრუნება. საკითხის განხილვაში ეროვნული მოძრაობის დანარჩენი ლიდერებიც მონაწილეობდნენ, როგორც ცნობილია ლიდერთა ერთმა ნაწილმა მათ დაბრუნებაზე უარი განაცხადა. ზურაბ ჭავჭავაძემ ამ კამათში განსხვავებული პოზიცია დაიკავა, რომელსაც ქართული ინტელიგენციის მცირე ნაწილიც მიემხრო. მათი მოთხოვნა იყო ქართული ორიენტაციის მქონე გადასახლებული მესხების საქართველოში ჩამოსახლება.

აი როგორ შეაფასა ზურაბის პოზიცია გადასახლებული მესხების შესახებ ზურაბ კიკნაძემ: „ჭეშმარიტად ქრისტიანული, ნამდვილად მამულიშვილური იყო მისი პოზიცია სამშობლოდაკარგული მესხების მიმართ, იგი როგორც პატრიოტი, განიცდიდა შინაგან პასუხისმგებლობას შავ ბედში მყოფ თუნდაც ეროვნება შეგნებადაცემულ, თუ ენადაკარგულ თანამოძმეთა წინაშე... მათ ტრაგედიას ის განიცდიდა. როგორც საქართველოს შინაგან სატკივარს და არა როგორც გარედან მომდინარე საფრთხეს, რომელიც შეიძლება ერმა მოიგერიოს და ასე აიცილოს თავიდან. იგი ბოლომდე მტკიცედ იდგა ამ პოზიციაზე, თუნდაც აჟიტირებული საზოგადოების რისხვა დასტეხოდა თავს, რადგან სწამდა, რომ მომავლის წინაშე პირნათელი იყო“.

ზურაბის სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი, თსუ უნივერსიტეტის პროფესორი სარგის ცაიშვილი ასე აფასებს ზურაბის მოღვაწეობას ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში: „როგორც ყოველგვარი მოძრაობა, ისე ჩვენი ეროვნული ძალისხმევა არ შეიძლება ერთგვაროვანი იყოს და ამ ასპარეზზე, როგორც მოსალოდნელი იყო, მან შეიძინა როგორც თანამებრძოლნი, ისე აშკარა მეტოქეებიც. დრო ალბათ თავისთავად გამოაჩენს მრუდსა და მართალს, და თუ გვიწერია აღთქმული ქვეყნის ხილვა, მხოლოდ დიდი შემწყნარებლობა იქნება გადატანილი ტკივილების ერთად-ერთი მკურნალი, თუნდაც იმიტომ რომ ყველას მოგვეხსენება ანდერძად დაგდებული მარად სახსოვარი სიტყვები: „თუ კაცმა ვერ სცნო ჩვენი გული, ხომ იცის ღმერთმა, რომ წმინდა არის განზრახვა და სურვილი ჩვენი“.

და ისევ ზურაბ კიკნაძე: „დაუღალავი ზურაბი, უძინარი ღამეულ გზაზე სერავდა საქართველოს დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. ხვდებოდა აფხაზებს, ლეკებს, ოსებს ცხინვალში თუ ახალგორში „ხეთაგვის ქალაში თავშეყრილთ როგორც ჭეშმარიტი წარმომადგენელი ქრისტიანული საქართველოსი, კავკასიის ხალხთა ერთიანობის იდეის მსურველი. ის საუბრობდა მშვიდობიანად, ხმის აუწევლად, მაგრამ მისი სიტყვები იყო ყოველთვის მტკიცე, უკომპრომისო, შეუვალი“.

ზურაბის პირველი სტუმრობა ყვარელში სრულიად საქართველოს პატრიარქის, უწმინდესის და უნეტარესის ილია მეორის ყვარელში დიდი ილიას მუზეუმის მოსანახულებლად ჩამობრძანებასთან არის დაკავშირებული. ეს სრულიად მოულოდნელი და დიდი სიყვარულით სავსე შეხვედრა იყო მუზეუმის თანამშრომლებისა და საპატიო სტუმრებს შორის, რომელიც ფოტოზეც არის აღბეჭდილი.

ზურაბს ხომ განსაკუთრებული სიყვარულით უყვარდა კახეთი და თავისი ყვარელი. ქალბატონი თინათინი გვიამბობდა – წამოგორდებოდა ხოლმე ლოჯიაში ტახტზე და თავისთვის ღიღინებდა „კახეთო, ჩემო კახეთოო“.

შემდეგ, როცა ზურაბი ილია ჭავჭავაძის საზოგადოებაში მოღვაწეობს, ყვარლის ხშირი სტუმარი და ყვარლელების მეგობარი ხდება. როგორც კი გამოჩნდებოდა, ხმა დაირხეოდა – ზურაბ ჭავჭავაძეა ჩამოსულიო და მოეშურებოდნენ აქაურები მასთან შესახვედრად და საბაასოდ.

ბატონ ილო ბეროშვილთან ერთად შექმნა ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ყვარლის განყოფილება, რომელმაც მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ქართული ეროვნული მოძრაობის ისტორიაში.

ბატონი ილოს კელიასავით პატარა და ფიქრებით დატვირთული ოთახი იყო მათი შეხვედრის ადგილსამყოფელი. მე ბედნიერება მქონდა ვყოფილიყავი ამ შეხვედრების და ბჭობის მომსწრე და მონაწილე. თემა ხომ ძირითადად საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვება იყო. აზროვნების, საქართველოს მომავლის გზების ძიებები და ჭიდილი.

მაგრამ მტერს რა დააძინებს, ვერაგულად სწორედ იქ ჩაგისაფრდება, სადაც არ ელოდები, მტრები კი ბევრი გყავდა ზურაბ! დიდი ვაჟა ხომ ამბობდა: „ცუდსა რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი“.

ბორითის ტრაგედია უბედური შემთხვევა არ იყო. სატანის უჩინარმა ხელმა კიდევ ერთხელ მოიქნია თავის მსახვრალი ხელი ქართველი ხალხის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის წინააღმდეგ. საქართველოს მოუკლეს მერაბი და ზურაბი, ზურაბი და მერაბი!

მტერმა იზეიმა, ყვარელმა მწარედ დაიტირა თავისი საამაყო შვილი და იგი მისივე ღდგენილ ტაძარში, თავისი ღირსეული წინაპრების გვერდით დაიკრძალა.

5 თებერვალი ზურაბის დაბადების დღეა. ზურაბი რომ ცოცხალი ყოფილიყო, 70 წლის იუბილეს უთუოდ ყვარელში აღნიშნავდა.

ზურაბი და ბატონი ნიკო სახელოვან წინაპრებთან ერთად განისვენებენ დიდი ნიკო ჭავჭავაძის მიერ აგებულ იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძარში. ქედი მოვიხაროთ მათი ნათელი ხსოვნის წინაშე.

სახლი, რომელიც დიდმა ნიკო ჭავჭავაძემ თავის შთამომავლობას დაუტოვა, და რომელმაც დღემდე ათასნაირი პატრონი გამოიცვალა, დღეს ზურაბის ოჯახს და მის შვილებს ეკუთვნის. სამართალი აღსრულდა, ზურაბის ქალიშვილები: ეკატერინე, ნინო, ქეთევანი უკვე ნამდვილი ყვარლელები არიან და თავიანთი შვილებთან ერთად სიამაყით დააბიჯებენ ყვარლის ქუჩებში დიდი წინაპრების ნაკვალევზე. იარონ! იარონ! იარონ!

**ლიანა ავაზაშვილი**

# ზურაბ ჭავჭავაძემ თავისი ბობოქარი ცხოვრებით საქართველოსთვის იცხოვრა

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

ქვეყნის არა მარტო წარსული, იგი თავისი საქმით ჰიმნს უმღეროდა ქვეყნის მომავალს და ამასთან ერთად ობიექტრად აღიქვამდა აწმყოს. მას უდიდესი სურვილი ჰქონდა საქართველო ეხილა გაერთიანებული, დამოუკიდებელი, ძლიერი და აყვავებული.

ქართული სიტყვის დიდოსტატი ლევან გოთუა თავის უკვდავ „გმირთა ვარამში“ ბრძანებს: „...გახსოვდეს, საქართველოში ყოველი საქმე – ბრძოლაა... შრომაცა და ქეიფიც კი. ცუდი ისაა – საერთო სიკეთეს ყველაზე მეტი ბრძოლა სჭირდება ჩვენში“. ზურაბ ჭავჭავაძემ თავისი ბობოქარი ცხოვრებით საქართველოსთვის, საერთო სიკეთისთვის იცხოვრა და იბრძოლა.

ზურაბი ამაყობდა თავისი ფესვებით და ძლიერ უყვარდა ყვარლის მიწა-წყალი, სახელოვანი წინაპრების საუფლო და სამუდამო განსასვენებელი. მისთვის მშობლიურ ყვარელში სტუმრობა ყოველთვის ზეიმი იყო.

ჭეშმარიტი მამულიშვილის სახელის უკვდავსაყოფად, ახლო მომავალში ყვარელში ზურაბ ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი გაიხსნება. ჭავჭავაძეთა საგვარეულო წმინდა იოანე ნათლისმცემლის შობის სახელობის ტაძრის მიმდებარედ კი დაიდგმება ზურაბ ჭავჭავაძის ბიუსტი. გადაწყვეტილება მიღებულია და საქმე დაწყებულია. ყვარლის საზოგადოება მიესალმება საქართველოს მთავრობის ამ ეროვნულ ნაბიჯს. ახლა საჭიროა პროცესების დაჩქარება. დროის დაკარგვა დაუშვებელია, დრო ძვირად ფასობს.

ბიბლია გვმოძღვრავს: „ყოველივეს თავის დრო აქვს და ყველაფერს თავისი ჟამი ამ ცისქვეშეთში“. დიახ, ღვთის განგებით დადგა დრო, რომ ზურაბ ჭავჭავაძე ღირსეულად დამკვიდრდეს თავისი წინაპრების მამულში.

5 თებერვალი ზურაბ ჭავჭავაძის დაბადების დღეა. საქართველოს ეროვნული გმირის დაბადებიდან 70 წლისთავი შესრულდა. ყვარელი დიდი სიყვარულით და მოწიწებით შეხვდა თვისი მონატრებული შვილის საიუბილეო თარიღს.

ზურაბის უკვდავი სული კი მუდამ თან სდევს მის შესანიშნავ, სამაგალითო ოჯახს, მისთვის უსაყვარლეს ყვარელს და სრულიად საქართველოს.

ჩვენთან არს ღმერთი!

**ოთარ დავითაშვილი**

# ყვარელი ემშვიდობება ქალბატონ ძაბულის!

## მეტად მტკივნეულია, როცა წარმოვიდგენთ, რომ ჩვენს გვერდით ვეღარ ვიხილავთ ქალბატონ ძაბულის...



კიდევ ერთი, გამორჩეულად ღირსეული პიროვნება დააკლდა ყვარელს და ქვეყანას – 85 წლის ასაკში გარდაიცვალა ყვარლის მუნიციპალიტეტის ღვაწლმოსილი პიროვნება ძაბული ალექსანდრეს ასული სილაგაძე, ქალბატონი, რომლისთვისაც ადამიანური ღირსება, თავდადება და პატიოსნება შერწყმული იყო უმაღლეს პროფესიონალიზმთან.

განსაკუთრებულია ქალბატონი ძაბულის ღვაწლი და დამსახურება ყვარლის რაიონის წინაშე, რადგანაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მის ეკონომიურ აღმავლობას და მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას მოახმარა.

მეტად შთამბეჭდავი და საინტერესო ცხოვრების გზა განვლო ქალბატონმა ძაბულიმ. იგი დაიბადა 1937 წელს. 1962 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, მრეწველობის ეკონომიკის სპეციალობით.

როგორც ბიოგრაფიული მონაცემები გვიჩვენებენ, შესაშური და ამავე დროს ბრწყინვალე კარიერული გზა გაიარა ქალბატონმა ძაბულიმ თავისი 85 წლიანი ცხოვრების გზაზე. მას ია-ვარდით მოფენილი გზით არ მიუღწევია დასახული მიზნისთვის, საზოგადოებაში მაღალი ავტორიტეტის მოპოვებისთვის.

შრომითი საქმიანობა თბილისის აბრეშუმ საქსოვ ფაბრიკაში შრომის განყოფილების ეკონომისტად დაიწყო, ამავე დროს იყო პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

ამ პერიოდში გაიცნო ბატონი გივი სამიტაშვილი, ახალგაზრდა კაცი, რომელიც მრავალფეროვანი ღირსებებით იყო შემკული და სანიმუშო ქართული ოჯახი შექმნეს.

ბატონი გივი ინტელექტით, ადამიანებთან ურთიერთობით, ოჯახისადმი ერთგულებით, მეგობრებისადმი მხარში დგომით და ქვეყნის სიყვარულითაც გამოირჩეოდა. მის უმაღლეს პროფესიონალიზმზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ყვარლის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში იმ დროისთვის არსებულ ათიათასობით პირუტყვში და ფრინველში მასობრივი დაცემის ერთი შემთხვევაც არ ყოფილა. ეს რაიონის მთავარი ვეტექიმის ბატონი გივის მიერ დღედაღამ გაწეული მუშაობის შედეგი იყო.

ყვარელში ჩამოსვლისთანავე ხილ-ბოსტნეულის კომბინატში ეკონომისტად იწყებს მუშაობას ქალბატონი ძაბული, სადაც გამოვლინდა მისი ორგანიზატორული ნიჭი და დაკისრებული მოვალეობისადმი უდიდესი პასუხისმგებლობა, რაც რაიონის ხელმძღვანელობას შეუმჩნეველი არ დარჩენია და 1976 წელს პარტიის ყვარლის რაიკომში ინსტრუქტორად გადაიყვანეს.

1976-1983 წლებში ყვარლის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საგეგმო განყოფილების ხელმძღვანელად აწინაურებენ. ამ განყოფილებაში ხდებოდა რაიონის ბიუჯეტის შედგენა და პროექტის საქართველოს მთავრობასთან შეთანხმება. ამავე დროს რაიონში ლიმიტით შემოსული იმპორტული ავეჯის და საქონლის, ავტომობილების განაწილებას ქალბატონი ძაბული ახდენდა და შრომაში წარჩინებულ ადამიანებს უნაწილებდა.

1983-1990 წლებში ყვარლის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეა, ხოლო 1990 წელს რაისაბჭოს აღმასკომის ფუნქციის შეწყვეტის შემდგომ მუშაობდა ყვარლის გამგეობის ეკონომიკური სამსახურის უფროსად.

ხუთი ათეული წელი რაიონის პასუხსაგებ თანამდებობებზე ყოფნა, სამსახურებრივი თუ საზოგადოებრივი დავალებების შესრულება ოთხი შვილის დედისათვის მართლაც უდიდეს ძალისხმევას მოითხოვდა, მაგრამ ქალბატონი ძაბული სამსახურებრივ და საოჯახო პრობლემებს მაინც წარმატებით აგვარებდა.

უძვირფასესი მეუღლის გივი სამიტაშვილის გარდაცვალებამ უდიდესი ტკივილი მიაყენა, მაგრამ ქალბატონმა ძაბულიმ ყველა პრობლემა გადალახა და უმამოდ დარჩენილ შვილებს უმაღლესი განათლება მიაღებინა. თამილა ქიმიკოსი გახდა, ხათუნა – ფიზიკოსი, ნათია – ექიმ-გინეკოლოგი, თენგო – ტექნოლოგი.

რაიონის მოსახლეობა ყველაზე უკეთ მას ქალთა საბჭოს თავმჯდომარის საქმიანობით იცნობდა.

ქალთა საბჭო ათეული წლების მანძილზე ფასდაუდებელ დახმარებას უწევდა მრავალშვილიან, მარტოხელა ქალებს. ხშირად აკითხავდნენ, იცოდნენ, თუ როგორი ძალა ჰქონდა ქალბატონი ძაბულის სიტყვას, უყვებოდნენ თავიანთ ჭირ-ვარამს, როგორც ახლობელს და დაიმედებული ემშვიდობებოდნენ.

ძნელია ჩამოთვალო ყველა ის სიკეთე, რაც ქალთა საბჭოს და მის თავმჯდომარეს გაუკეთებია ქალთა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. ბევრს სამუშაოზე მოწყობაში დაეხმარნენ, ზოგს ბინის მიღებაში, ზოგს საჩუქრები გადასცეს და ა.შ.

ჩვენი თაობის ადამიანებს კარგად ემახსოვრებათ საზეიმო შეხვედრები ახალი წლის და 8 მარტისთვის. რა დაგვავიწყებს რესპუბლიკის გამოჩენილ ქალებთან: მარიკა ბარათაშვილთან, დოდო ჭიჭინაძესთან, ნინო ჟვანიასთან, ზინაიდა კვაჭაძესთან, ელენე ყიფშიძესთან, ეთერ სოლომონიასთან და სხვა საამაყო პიროვნებებთან შეხვედრებს.

2003 წელს ხანგრძლივი, ნაყოფიერი, უმწიკვლო მუშაობისა და საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისათვის საქართველოს პრეზიდენტმა ღირსების ორდენით დააჯილდოვა. მას აგრეთვე მიღებული აქვს უამრავი სიგელი და დიპლომები.

პიროვნების ამ ქვეყნიდან წასვლა ყოველთვის მტკივნეულია, მით უფრო მთავარია დანაკარგის შეგრძნება, როდესაც წასული ადამიანის დადებითი პოტენციალი ბოლომდე რეალიზებული ვერ იქნება. თქვენ ჯერ კიდევ ბევრის გაკეთება შეგეძლოთ, თქვენეული ცხოვრების წესით და პატიოსნებით და ბევრისთვის მაგალითის მიმცემი იქნებოდით.

ყოველთვის ასეა, ადამიანის იმ ქვეყნად წასვლის შემდგომ უფრო მეტს ვსაუბრობთ მის დამსახურებაზე.

მეტად მტკივნეულია, როცა წარმოვიდგენთ, რომ ჩვენს გვერდით ვეღარ ვიხილავთ ქალაბატონ ძაბულის, ვეღარ მოვისმენთ მისგან რჩევას და დარიგებებს, ყოველთვის მალამოსავით რომ კურნავდა თითოეული ჩვენგანის ცხოვრებისეულ ჭირ-ვარამს.

უფალო, მადლობა თქვენ, რამეთუ გვიგზავნი ასეთ ადამიანებს სულის გასაკეთილშობილებლად! და რატომ მიგყავთ ასე მოულოდნელად? იქნებ იმიტომ, რომ გვახსოვდეს წუთისოფელი წამიერი გაელვებაა ამქვეყნად, რომ აუცილებელია ვაკეთოთ სიკეთე, გავულამაზოთ ერთმანეთს ცხოვრება, რადგანაც გვასწავლიან, რომ ღმერთი ახლოსაა მათთან, სადაც ადამიანებს ერთმანეთი უყვართ!

გულდათუთქულები ვართ ყველანი, მაგრამ განსაკუთრებულად შენი შვილები: თამილა, ხათუნა, ნათია, თენგო, სიძეები: ოთარ დავითაშვილი, ლაშა ზაალიშვილი, ბესარიონ ლოლიაშვილი, რძალი ლესია, შვილიშვილები: მარიტა, დავითი, დაჩი, ლევანი, ერეკლე, თეკლე, თქვენი სამძახლო, სამეგობრო, სამეზობლო, ყველა ის ადამიანი, ვისთანაც ურთიერთობა გქონია და გიცნობდნენ. ამიტომაც უამრავმა ადამიანმა მიუსამძიმრა შენს შვილებს და გამოგემშვიდობნენ.

ყვარელი ემშვიდობება ქალბატონ ძაბულის!

მისი ხსოვნა დაუვიწყარია, ნათელი ადგეს იმ ქვეყანაზე და უფალს შევთხოვთ, სიმშვიდე არ მოაკლოს მის სამარადისო განსასვენებელს!

**მეგობრების სახელით:**
**ზეინაბ ჭიჭიკოშვილი, ლანი ბეჟანიშვილი, თამრიკო ნაზრიშვილი, დალი ტატულიშვილი, ანგი გავაშელიშვილი, ალიმან ლაფაჩიშვილი, ილია ჩხეიძე, ზაური ცუკილაშვილი, ალექსანდრე გიგილოშვილი**





**ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების, ქვეყნის აღმშენებლობის აქტიური მონაწილე, განუზომელი ავტორიტეტის მქონე პიროვნება**

**ძაბული ალექსანდრეს ასული სილაგაძე**

**და მწუხარებაში თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახსა და ახლობლებს.**

## ძაბული სილაგაძის ხსოვნისადმი

**ყვარელმა კიდევ ერთი ამაგდარი ქალბატონი გააცილა იმქვეყნად. ძაბული სილაგაძე იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, რომელნიც გასაოცრად ახერხებდნენ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასა და ოჯახის გაძღოლას. ადვილი არ იყო ოთხი შვილის ღირსეულად აღზრდა. ამ საქმეშიც გამორჩეული იყო იგი. მისი შვილებით მარტო სამიტაშვილების ოჯახი კი არ ამაყობს, არამედ მთელი რაიონი.**

**ქალბატონი ძაბული სიყვარულმა ჩამოიყვანა ყვარელში. გახდა სამიტაშვილების რძალი და მალევე დაიმკვიდრა ავტორიტეტი. ყვარლის პარტიის რაიკომში ათეული წლები მუშაობდა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. პარალელურად ყველა მნიშვნელოვანი ღონისძიების ინიციატორი იყო. განსაკუთრებით ზრუნავდა ქალებზე, იცავდა მათ უფლებებს და სხვადასხვა ღონისძიებების მოწყობით ულამაზებდათ ცხოვრებას.**

**ყვარლის მე-3 საშუალო სკოლის პედაგოგებისთვის იგი სამაგალითო მშობელი იყო. აქტიური, სკოლის გვერდში მდგომი. შეიძლება თამამად ითქვას, რომ სასკოლო ცხოვრების არცერთი საკითხი არ რჩებოდა უყურადღებოდ. პედაგოგებს ყოველთვის გვეიმედებოდა იგი.**

**დამთავრდა ერთი ქალბატონის ცხოვრებაც, რომელიც მისაბაძი იყო როგორც მეუღლე, დედა, ოჯახის რძალი და მეგობარი.**

**გაივლის დრო და მოგონებად იქცევა ქალბატონ ძაბულის პიროვნებაც.**

**ოთარ ჭილაძეს აქვს ერთი ასეთი ნათქვამი: „მთავარი არის, რომ პატიოსნად, დიდხანს და მყუდროდ იცხოვრო მაშინ, როცა აღარ იქნები“.**

**დიახ, ძაბული სილაგაძე ამ ქვეყნიდან წასვლის შემდეგაც ყოველთვის იცხოვრებს იმათ გულებში, ვინც მას კარგად იცნობდა და აფასებდა.**

**ყვარლის III საშუალო სკოლის ყოფილი მასწავლებლები**

# თხილის ბაღების რეგისტრაცია გრძელდება

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

თანამშრომელისაგან. სამუშაო ჯგუფი წინასწარ გაწერილი განრიგით შედის მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში. კადასტრის ოპერატორები, პოტენციური ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ელექტრონულად ახორციელებენ პოტენციური ბენეფიციარის პირადი მონაცემების ასახვას და მიწის ნაკვეთის იდენტიფიცირებას (რუკაზე კონტურების დატანას) შესაბამის პროგრამაში. იმ შემთხვევაში, თუ პოტენციური ბენეფიციარი არ ეთანხმება კადასტრის ოპერატორის მიერ რუკაზე მონიშნული ნაკვეთის ფართობს ან/და რუკაზე ვიზუალურად ვერ ხორციელდება თხილის ბაღის იდენტიფიცირება, პოტენციური ბენეფიციარი ავსებს განცხადებას მიწის ნაკვეთის დათვალიერების შესახებ, რის შემდგომაც ხდება თხილის ბაღის ადგილზე შესწავლა და დასურათება. მიწის ნაკვეთის ვიზუალური დათვალიერების შემდეგ შედგება მიწის ნაკვეთის დათვალიერების აქტი. დათვალიერების აქტის საფუძველზე კადასტრის ოპერატორი აუქმებს ან ასრულებს თხილის ბაღების კადასტრში პოტენციური ბენეფიციარის რეგისტრაციის პროცესს. სამუშაო პროცესში, ასევე ჩართულები არიან ადგილზე ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლები. სამუშაო ჯგუფის ყველა წევრი პასუხისმგებლობით ეკიდება მათზე დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებს და კომპეტენციის ფარგლებში გასცემენ შესაბამის კონსულტაციებს.

***– დარიცხული სუბსიდიის ქულების გამოყენების საბოლოო ვადა როდის იწურება?***

– ბარათ (ებ)ზე დარიცხული ქულების ან/ და თანხის გამოყენების ბოლო ვადაა 2023 წლის 31 აგვისტო. თუ ბენეფიციარის მიერ 2023 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით „თხილის წარმოების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში დარიცხული სუბსიდიის ქულები არ იქნება გამოყენებული, ავტომატურად მოხდება ანგარიშზე არსებული აუთვისებელი ქულების ანულირება.

***– როგორც ირკვევა, თხილის ბაღების რეგისტრაცია 31 იანვრამდე ვერ მოესწრო, თარიღი ხომ არ გადაიწევს?***

– თავდაპირველად პროგრამით თხილის ბაღების რეგისტრაციის ბოლო თარიღად დადგენილი იყო 31 იანვარი, თუმცა მუშა პროცესმა ცხადყო, რომ სამუშაო საკმაოდ მოცულობითია, აგრეთვე იყო გარკვეული ტექნიკური ხარვეზები. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე მოხდა რეგისტრაციის ვადის გახანგრძლივება. მეთხილე ფერმერებს თხილის ბაღების რეგისტრაცია შეუძლიათ მოახდინონ მიმდინარე წლის 17 თებერვლის ჩათვლით.

***– გაზაფხული მოახლოვდა და საჭიროა შევახსნოთ ჩვენს ფერმერებს რა სამუშაოები უნდა ჩაატარონ თხილის ბაღებში,რათა უხვი მოსავალი მოიწიონ მიმდინარე წელს?***

– თხილის უხვი და ხარისხიანი მოსავლის მისაღებად აგროტექნიკური სამუშაოები შემოდგომა-ზამთრიდან იწყება. შემოდგომა-ზამთრის პერიოდში ან ადრე გაზაფხულზე, აუცილებელია, მექანიკურად დაზიანებული, ხმელი, სუსტად განვითარებული ტოტების შეჭრა, შეგროვება და დაწვა. ვარჯის გამოხშირვის დროს უნდა გავითვალისწინოთ მცენარის დგომის სიხშირე, ასაკი და მდგომარეობა. შემოდგომით ხდება ფოთლების შეგროვება და დაწვა, ძირების შემობარვა-მიწის შემოყრა, შტამბის და დედა ტოტების კირით შეთეთრება, ორგანული და მინერალური სასუქების შეტანა ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების მიზნით. ახალშენ ბაღებში აუცილებელია რიგთაშორის ნიადაგის დამუშავება, ხოლო სრულ მსხმოიარე ბაღებში მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი პირობაა ბაღის მოვლის აგროტექნიკური სამუშაოების დროული და ხარისხიანი ჩატარება, რომელიც მოიცავს პროფილაქტიკურ, სანიტარულ-ჰიგიენურ და ქიმიურ ღონისძიებებს.

თხილის კულტურას მნიშვნელოვნად აზიანებენ მავნებლები და განსაკუთრებით კვირტის ტკიპა. მავნებლის სიმპტომები მცენარეზე ადვილი შესამჩნევია. ტკიპა მჩხვლეტავი ხელიცერებით ძლიერ აზიანებს გენერაციულ მდედრობით და საფოთლე კვირტების ქსოვილის ზედაპირს. დაზიანებული რეფორმირებული კვირტები კარგავს ნაყოფის განვითარების უნარს, რის შედეგადაც მოსავლიანობა საგრძნობლად მცირდება. ზაფხულის დადგომისთანავე საყვავილე კვირტები ხმება, ცვივაა და პერიფერიულ ნაწილებში ჩნდება გამხმარი ტოტები.

ტკიპების მიგრაცია ძველი კვირტებიდან იწყება აპრილში (ტემპერატურა 13-14 გრადუსი), ხოლო ინტენსიურად მომდინარეობს მაისის თვეში. ისინი კვირტის გარეთ არიან მოფენილი და თეთრი ფიფქის შთაბეჭდილებას ტოვებენ. მიგრაცია მიმდინარეობს დილის და საღამოს საათებში თბილ და მზიან ამინდში.

ტკიპასთან ბრძოლის ეფექტური ღონისძიებაა ადრე გაზაფხულზე მოზამთრე ტკიპების წინააღმდეგ დაზიანებული, დეფორმირებული, გაწითლებული კვირტების შეცლა და დაწვა.

ქიმიური ღონისძიებების ჩატარების ყველაზე ხელსაყრელი პერიოდი არის ტკიპების მიგრაციის დრო, აპრილის ბოლოდან მაისის ჩათვლით. პირველი წამლობა უნდა ჩატარდეს 0,04 პროცენტიანი ენვიდორით, შემდეგი მე-2 და მე-3 წამლობა 0,2 პროცენტიანი ნეორონით, ომაიტით ამ მასაით 12-14 დღის ინტერვალით.

***– დიდი მადლობა ბატონო ნიკა, საინტერესო და საქმიანი საუბრისთვის, წარმატებებს გისურვებთ.***

**ესაუბრა**
**ალექსანდრე გიგილოშვილი**

# ვალიკო ზაუტაშვილის გახსენება

## და გვრჩება მხოლოდ დიდი მონატრება იმ კაცისა, რომელმაც იცხოვრა, იშრომა, იღვაწა და თან უამრავი ცრემლი გაიყოლა!



ერთი წელი გავიდა იმ ავადსახსენებელი დღეებიდან, როცა ქართულ მიწას მივაბარეთ კიდევ ერთი ღირსეული და ვალმოხდილი ყვარლელი კაცი – ვალიკო ზაუტაშვილი, ნაღდი ქართული ოჯახისა და სახელხმიანი გვარის წარმომადგენელი.

ღვთის მადლი და ბედნიერებაა ალბათ, როცა კარგი კაცების ფასი იცის საზოგადოებამ, იმის მიუხედავად, ჩვენს შორის არიან თუ წარსულში მოიხსენიებიან. ასეთი გახლდათ ჩვენი ფადა, როგორც მოფერებით ვუწოდებდით. ალალს, ყველასთვის ახლობელს, სიცოცხლის 85-ე წლის ზამთრის სუსხიან თებერვალში შეუწყდა გულისცემა. სიმბოლურია, რომ ცხოვრებასთან შეუპოვარ მებრძოლსა და შრომაში დაუდეგარს, სიკვდილმა თბილ ლოგინში კი არა, ვენახში მუშაობისას უწია. მისთანებზე იტყვიან – გაიხარჯაო და მართლაც რომ გაიხარჯა ბოლომდე და ვალმოხდილი წავიდა ამქვეყნიდან. წავიდა და სევდანარევი მოგონებები დაუტოვა ყველას – ახლობლებს, სანათესაოს, სამეზობლოს, მეგობრებს და ოჯახს. ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ასე მოულოდნელად უღალატებდა გული, რომელიც მამულზე, შვილებზე, შვილიშვილებზე და მათ მომავალზე ფიქრით უძგერდა.

ნათქვამია, იმქვეყნად წასვლა, ისევე, როგორც დაბადება, უფლის ნებააო, რასაც ვერავითარი ძალა ვერ აღუდგება წინ. სამწუხაროა, რომ ამიერიდან ვალიკო ზაუტაშვილი მხოლოდ ტკბილ მოგონებად და მონატრებად დარჩა ახლობლებისა და მეგობრების გულებში. მოსაგონარს კი რა გამოლევს მის შესახებ ამ წუთისოფელში.

დაუვიწყარია მისი მოღვაწეობის წლები ყვარლის რაიკოოპერატივის სისტემაში. დიდი ხნის მანძილზე იგი წიგნების საქონელმცოდნედ მუშაობდა და ამ საპასუხისმგებლო მოვალეობას პროფესიონალურ დონეზე ასრულებდა, რითაც უზომო ავტორიტეტი მოიპოვა მთელი რაიონის მასშტაბით, საზოგადოების ყველა ფენაში. ხოლო როგორც მუშაკი, კოოპერატორთა იერარქიაში, გამოირჩეოდა საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით და უნარიანი, ულალატო საქმიანობით, შესაშური შრომისუნარიანობითა და დაუდეგარი ხასიათით. შეიძლება ითქვას, რომ თავისი ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში მას ერთი წუთიც არ დაუკარგავს უქმად – დაუღალავ შრომასა და გარჯაში გალია ცხოვრების წლები და უტყუარად შეიძლება ითქვას, რომ ჭეშმარიტად შრომით დაღლილი წავიდა იმქვეყნიურ სასუფეველში.

მისმა გარდაცვალებამ დიდი ტკივილი მიაყენა მის ყოფილ კოლეგებსაც. მისი თაობის კოოპერატორებს, რომლებიც ისედაც თითზე ჩამოსათვლელნი არიან დარჩენილი ამ ქვეყანაზე. მათ, ვისაც კი მასთან ერთად მხარდამხარ უმუშავიათ, არასოდეს დაავიწყდებათ და ყოველთვის იამაყებენ მისი კაცურ-კაცობით, რადგან თანამშრომელთა შორის ყოველთვის გამოირჩეოდა გულისხმიერებითა და უშუალობით, ძმაკაცობითა და მეგობრული დამოკიდებულებით.

რა ულმობელი და მკაცრია წუთისოფელი... ხშირად ვერ ვამჩნევთ და სიცოცხლეშივე სათანადოდ ვერ ვაფასებთ ადამიანის ღირსებებს. მერე კი... როცა უკან მოვიხედავთ და მოგონებებს მივეცემით, წარსულის ლაბირინთებში მკაფიოდ ვრწმუნდებით, თუ რა პიროვნება დაგვიკარგავს!

დიდია და განუზომელი ტკივილი, როცა ვალიკო ზაუტაშვილის შესახებ წარსულ დროში გვიწევს საუბარი. მაგრამ რას ვიზამთ, ასეთი ყოფილა ცხოვრების კანონზომიერება – დღითი დღე გვაკლდებიან და გვტოვებენ ჩვენი სიხარულისა და ტკივილების თანაზიარი ადამიანები; თანდათან წყდებიან ნათელ დღეებთან დამაკავშირებელი სიმები, წყდებიან ფანდურის სიმებივით, მაგრამ უკვალოდ არ ქრებიან, მარადისობაში გარდასულნი სითბოდ და სიყვარულად რჩებიან ჩვენს გულებში.



სწორედ ამ სითბოთი, სიყვარულითა და მადლიერებით ვიგონებთ ჩვენს ფადას და გვინდა ვირწმუნოთ, რომ ხსოვნა სიკვდილზე ძლიერია. სწორედ ეს ხსოვნა შეინახავს ჩვენს გულებში მის ხატებას და შეგვმატებს რწმენას, რომ ყოველთვის ჩვენს გვერდით ვიგულოთ კაცი, ვისი დავიწყებაც შეუძლებელია.

უცნაური და გაუტანელია ეს წუთისოფელი, წუთი კი არა, წამის ერთი გაელვება. სიცოცხლე მოლანდება ყოფილა, ხანმოკლე სიზმარი, რომელიც უცებ გაფრინდება და ჩაივლის, გაქრება, როგორც ხელისგულზე დაცემული თოვლის ფიფქი. მარადიული კი მხოლოდ სიკვდილია და ეს მწარე რეალობა კიდევ ერთხელ ჩაგვაფიქრებს წუთისოფლის ამაოებაზე.

და გვრჩება მხოლოდ დიდი მონატრება იმ კაცისა, რომელმაც იცხოვრა, იშრომა, იღვაწა და თან უამრავი ცრემლი გაიყოლა!

„ყველა ოცნება, ყველა მიზანი
რა იმედებით დაასურათე,
და რა მცირეა, რაც შეიცანი
დასაწყისიდან დასასრულამდე.

ჩვენი ცხოვრება არის ზღაპარი,
ბედის მიყოლა, ან არ მიყოლა,
ჩვენი ცხოვრება აბა, რა არი?
მართლაც იყო და არა იყო რა!“

სამარადისო ნათელი ედგას მის საბოლოო განსასვენებელს, უფალი ფარავდეს მის სულს ზეციურ სამყაროში.

**ალიმან ლაფაჩიშვილი**

# გაზაფხული და ვიტამინების დეფიციტი

გაზაფხულზე ენერგიის ნაკლებობას განიცდით, სულ გეძინებათ, არ გყოფნით ძალა, მოდი, გავერკვიოთ,

რას უნდა მივაწეროთ ეს სიმპტომები და როგორ მოვიქცეთ იმისთვის, რომ თავს ყველა სეზონზე კარგად ვგრძნობდეთ.

ყველანაირი ვიტამინის ნაკლებობა ავიტამინოზია?!

ხშირ შემთხვევაში, ის, რასაც ავიტამინოზს ვეძახით – სინამდვილეში სულაც არ არის ავიტამინოზი. ავიტამინოზი ნიშნავს ორგანიზმში ერთი ან რამდენიმე ვიტამინის პრაქტიკულად არარსებობას. ორგანიზმის ასეთ მდგომარეობამდე მიყვანა, თუ რთული ფორმის კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებები არ გაქვთ – ძალიან რთულია, რა თქმა უნდა, თუ არ შიმშილობთ ან რომელიმე ექსტრემალურ დიეტაზე არ ხართ.

ავიტამინოზის დროს ადამიანის მდგომარეობა მკვეთრად უარესდება, ჩნდება სპეციფიკური სიმპტომები, რომლებიც კონკრეტული სახის ვიტამინების უკმარისობის რთულ ფორმას ერთვის.

ალბათ, გსმენიათ ცინგას შესახებ. ცინგა (სურავანდი) – მწვავე დაავადებაა, რომელსაც ახასიათებს ორგანიზმში C ვიტამინის უკმარისობა ან საერთოდ უქონლობა. მისი სიმპტომებია: ჰემორაგიული გამონაყარი, ღრძილებიდან სისხლდენა, კბილების მორყევა, სახსრებისა და კიდურების ტკივილი, პირიდან და ცხვირიდან ხშირი სისხლდენა, საერთო სისუსტე, სწრაფი დაღლა, იმუნიტეტის დაქვეითება, ძლიერი შეშუპება. ამ დაავადების გართულებულ ფორმებს უფრო უარესი და საშიში სიმპტომები აქვს. ეს არის ავიტამინოზი.

არსებობს შედარებით ნაკლებად ცნობილი დაავადება – ბერი-ბერი. ბერი-ბერი (ავიტამინოზის სახეობა) – დაავადება, რომელსაც ახასიათებს ორგანიზში B1 ვიტამინის უკმარისობა. დაავადება წარმოიშობა ორგანიზმში B1 ვიტამინის უკმარისობით, რასაც მივყავართ სისხლში მჟავას გადაჭარბებულ დაგროვებამდე. თავის მხრივ, ეს ხდება ორგანიზმის ისეთი სისტემების სწორი მუშაობის დარღვევისას, როგორებიცაა: ნერვული, გულ-სისხლძარღვთა, საჭმლის მომნელებელი.

ბერი-ბერის წარმოშობის მიზეზებია: B1ვიტამინის არასაკმარისი გამოყენება (არასწორი კვება), ორგანიზმის მიერ B1 ვიტამინის შეწოვის შეუძლებლობა, სპირტიანი სასმლით ინტოქსიკაცია. მისი სიმპტომები გახლავთ: კიდურების ძლიერი შეშუპება, ფეხების ტკივილი, ხუთვა, საერთო სისუსტე, გულის უკმარისობის გახშირება, მოძრაობის კოორდინაციის დარღვევა, ხელებსა და ფეხებში გრძნობის დაკარგვა, მეხსიერებისა და ლოგიკური აზროვნების დარღვევა, მეტყველების დარღვევა, თვალების უკონტროლო მოძრაობა (ნისტაგმი), ხშირი გულისრევის შეგრძნება და დამბლა. ესეც ავიტამინოზია.

თანამედროვე ადამიანი უფრო ხშირად ჰიპოვიტამინოზის წინაშე დგება – ეს ვიტამინების უკმარისობის მსუბუქი ფორმაა, რომელიც ორგანიზმში ერთი ან რამდენიმე ვიტამინის შემცირებით არის გამოწვეული. საფრთხე ისაა, რომ ჰიპოვიტამინოზის სიმპტომები შეიძლება შეუმჩნეველი დარჩეს, რადგან მათი მიწერა სხვა მიზეზებზე იოლად შეიძლება, მაგალითად, სტრესზე ან გადაღლაზე.

რატომ ჩნდება ვიტამინების დეფიციტი?!

### 1. არაბალანსირებული კვება

ორგანიზმი საჭირო ვიტამინებს საკვებიდან იღებს. ამიტომ აუცილებელია, თქვენი რაციონი მრავალფეროვანი იყოს. იფიქრეთ ამ ყველაფერზე თქვენი რაციონის შედგენისას, ვიდრე მოდურ დიეტას დაიცავთ!

დიდი მნიშვნელობა აქვს მოხმარებული საკვების ხარისხსაც. მაგალითად, მთელმარცვლიანი პროდუქტები, B1 ვიტამინის შემადგენლობით, რამდენჯერმე უსწრებენ რაფინირებულ პროდუქტებს.

არასწორად შენახული ან მომზადებული საკვებიც ვნებს თქვენს ჯანმრთელობას. მაგალითად, C ვიტამინი პროდუქტის თერმულად დამუშავების შემდეგ ბოლომდე იკარგება.

### 2. ორგანიზმის მომატებული მოთხოვნილება ვიტამინების მიმართ

ვიტამინების სადღეღამისო ნორმა სხვადასხვაა და ეს გარკვეულ ფაქტორებზეა დამოკიდებული: ასაკი, სქესი, ჯანმრთელობის მდგომარეობა და ა. შ. ამიტომ საშუალოსტატისტიკურ ციფრებზე დაყრდნობა ასეთ შემთხვევაში არასწორია.

ვიტამინების საჭიროება იზრდება ძლიერი სტრესების, ინტენსიური დატვირთვების (როგორც ფიზიკური, ასევე გონებრივი), მწვავე და ქრონიკური დაავადებების, ტრავმებისა და ავადმყოფობის შემდეგ ორგანიზმის აღდგენის პერიოდში. ორსულობისა და ლაქტაციის პერიოდში ქალებს მეტი ვიტამინი ესაჭიროებათ. აუცილებელია ასაკის გათვალისწინება – ბავშვებს, მოზარდებს და მოხუცებს დროის სხვადასხვა პერიოდში – სხვადასხვა ვიტამინის საჭიროება უჩნდებათ.

გასათვალისწინებელია კლიმატური პირობებიც. ცივი კლიმატი, ცხელი კლიმატის მსგავსად, საშუალო, ნორმაზე 30-60%-ით გაზრდილი ვიტამინების დოზას მოითხოვს.

### 3. ნეგატიური ფაქტორების გავლენა

აქ საქმე მხოლოდ ცუდ ეკოლოგიას არ ეხება. ორგანიზმზე ცუდად მოქმედებს დაბინძურებული ჰაერი, ისევე როგორც ჩვენი მავნე ჩვევები! მოწევა და ალკოჰოლი, ტკბილეულის ჭარბი მოხმარება და სწრაფი კვება – ვიტამინების უკმარისობას იწვევს!

თუ C ვიტამინის რეკომენდებული დოზა ქალებისთვის 55-75 მილიგრამია, მამაკაცებისთვის კი – 75-90 მილიგრამი, მწეველებისთვის ეს ნორმა 400 მილიგრამამდე იწევს.

ისიც გაითვალისწინეთ, რომ ვიტამინების ნაკლებობა ზოგიერთმა ფარმაცევტულმა პრეპარატმაც შეიძლება გამოიწვიოს.

რომელი ვიტამინები არ გვყოფნის გაზაფხულზე?

როგორც წესი, გაზაფხულზე C ვიტამინის ნაკლებობას განვიცდით, რადგან ზამთრის განმავლობაში ნაკლებად ვიღებთ მის შემცველ პროდუქტებს: ბოსტნეულს, ხილსა და კენკრას. პროდუქტის შენახვისას C ვიტამინი ნაწილობრივ ნადგურდება და ცივ ზამთარში ახალი ვაშლის, ფორთოხლის, კომბოსტოს, პომიდვრის მიღებით საჭირო რაოდენობის ვიტამინს მაინც ვერ ვიღებთ. გარდა ამისა, ზამთარში C ვიტამინის საჭიროება ორგანიზმში კიდევ უფრო იზრდება და მიწოდებული ვიტამინი საკმარისი მაინც არ არის.

ვიტამინები აბების სახით უნდა მივიღოთ?!

ეს C ვიტამინს ეხება – ორგანიზმში არ გროვდება და მასთან დაკავშირებული ჰიპერვიტამინოზი უიშვიათესი შემთხვევაა, ამიტომ შეგიძლიათ ის ზამთარში მიიღოთ.

ვიტამინების კომპლექსების „ყოველი შემთხვევისათვის“ დალევა ძალიან ცუდი იდეაა! მათმა უკონტროლო მიღებამ შე-




იძლება ჰიპერვიტამინოზი გამოიწვიოს. ეს, პირველ რიგში, ცხიმხსნად ვიტამინებს ეხება (A, D, E, K), რომლებიც, წყალში ხსნადი ვიტამინებისგან განსხვავებით, ორგანიზმში გროვდება. მათი დაგროვება კი შესაძლოა ჯანმრთელობისთვის საშიში იყოს.

მაგალითად, D ვიტამინის სიჭარბეს სისხლძარღვებში, გულში, თირკმელებსა და ფილტვებში კალციუმის დაგროვებამდე მივყავართ. A ვიტამინის სიჭარბეს ღვიძლისა და ელენთის მუშაობის დარღვევის, ქალასშიდა წნევის მატების, სახსრებში ტკივილისა და მენსტრუალური ციკლის დარღვევების პროვოცირება შეუძლია. E ვიტამინის ხანგრძლივი მიღება, შეიძლება, თავის ტკივილის, სისუსტის, საკვების მონელების დარღვევის, ჰიპოგლიკემიის, კუნთოვანი კრუნჩხვების მიზეზად იქცეს. K ვიტამინის ჭარბმა დოზამ კი შეიძლება ჰემოლიზური სიყვითლე გამოიწვიოს!

რაც შეეხება წყალში ხსნად ვიტამინებს, მათი სიჭარბე ორგანიზმიდან შარდის მეშვეობით გამოიდევნება, ამიტომ მათი შემცველი სინტეთიკური პრეპარატების მიღება, სამედიცინო დანიშნულების გარეშე, აზრს მოკლებულია!

როგორ ავიცილოთ თავიდან ვიტამინების უკმარისობა?

რეცეპტი მარტივი და ხელმისაწვდომია, მაგრამ, ამავდროულად, რთულიც, რადგან გარკვეულ თვითდისციპლინას მოითხოვს. „ჯადოსნური აბის“ მიღება ყველა პრობლემის ერთიანად გადაწყვეტის იმედით – ძალიან მარტივი საქმეა, მაგრამ, სამწუხაროდ, შეუძლებელი! თუ გსურთ თქვენი ჯანმრთელობის მოფრთხილება და შენარჩუნება – მაქსიმალურად ეფექტური მეთოდით, მაშინ შემდეგ წესებს დაემორჩილეთ:

- იკვებეთ მრავალფეროვანი და ბალანსირებული რაციონით.
- მიირთვით მეტი ახალი ხილი და ბოსტნეული – მთელი წლის განმავლობაში.
- მოერიდეთ სწრაფი კვების ობიექტებს, ნუ მიეძალებით ტკბილეულს, რაფინირებულ პროდუქტებს, ალკოჰოლს.
- დაანებეთ თავი მოწევას!
- იზრუნეთ პროდუქტების სწორად შენახვაზე.
- თავი აარიდეთ საკვების ხანგრძლივ თერმულ დამუშავებას.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ორგანიზმის ინდივიდუალური მოთხოვნილებების გათვალისწინება და რაციონის სქესის, ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების გათვალისწინებით შედგენა! ჩვეულებრივ, ეს ნაბიჯები საკმარისია ვიტამინების უკმარისობის აღმოსაფხვრელად!

დაიმახსოვრეთ: ვიტამინების უკმარისობის დროს უნდა გაირკვეს, თუ რომელი კონკრეტული ვიტამინები აკლია თქვენს ორგანიზმს და მხოლოდ მათ შესავსებად მიიღოთ სინთეტიკური ვიტამინები! ნუ მიიღებთ ვიტამინებს „ყოველი შემთხვევისთვის“ ან „მარაგის“ შესაქმნელად!

იკვებეთ სწორად და იქნებით ჯანმრთელი!

**ნანა კალანდაძე**

# ჩვენი მიზანია რაც შეიძლება მეტი მოზარდი ჩავაბათ ხელბურთში...

*სპორტულ სამყაროში სპორტის ერთ-ერთი საინტერესო და ლამაზი თამაში ხელბურთია, სადაც შვიდი წევრისგან შემდგარი ორი გუნდი ეჯიბრება ერთმანეთს. როგორც ხელბურთის მრავალსაუკუნოვანი ისტორიიდან ირკვევა, თანამედროვე სახით იგი XIX საუკუნის მიწურულს ჩამოყალიბდა. საქართველოში ხელბურთს XX საუკუნის 20-იანი წლებიდან თამაშობენ. ამ სახეობის სპორტული ისტორია გვამცნობს იმასაც, რომ საქართველოს ეროვნული გუნდები 1992 წლიდან მონაწილეობას იღებენ ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების შესარჩევ ტურნირებში. ჩვენმა არაერთმა ხელბურთელმა კარიერა გააგრძელა ევროპულ კლუბებშიც. 2006 წელს ქართველმა ხელბურთელებმა მსოფლიო უნივერსიადის ვერცხლის მედლები მოიპოვეს. 2008 წელს კი ევროპული ტურნირი, – „ჩელენჯი ტროფი“ მოიგეს. საქართველოს ხელბურთის ფედერაციის ძალისხმევითა და ხელბურთის საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით თბილისში რამდენიმე მნიშვნელოვანი შეჯიბრი ჩატარდა, მათ შორის – ჭაბუკთა ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატები. 2019 წელს საქართველოს ვაჟთა ნაკრებმა გაიმარჯვა IHF-ის ერთა ჩემპიონატში. ტურნირები ტარდება ასევე გოგონათა გუნდებს შორისაც. სპორტის ამ სახეობის ტურნირები და შეჯიბრებები ხშირად იმართება როგორც საქართველოს, ისე რეგიონებს შორისაც. ჩვენი სპორტული სკოლა, უნდა ითქვას, რომ ერთ-ერთი გამორჩეული სკოლაა, რომელთა აღზდილებმაც სახელი გაითქვეს არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიოს გარშემო. ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ სპორტული სკოლის ხელბურთელთა გუნდზე, რომლის ხელმძღვანელიც ბატონი ГОЧА ЛОНИАШВИЛИ და რომელიც თავად ისაუბრებს ამ გუნდის მიღწევებზე.*

***– ბატონო გოჩა, რა ასაკში გაგიტაცათ სპორტმა და რამდენი წელია რაც ამ სახეობის სპორტში ხართ ჩართული?***

– სპორტის ამ სახეობამ პირველად გამიტაცა 1990 წელს და ამავე სახეობაში დავიწყე ვარჯიში მწვრთნელ ზურაბ ხარებაშვილთან, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის იმ წარმატებებში, რომელიც დღესდღეობით აქვს ყვარლის ხელბურთელთა გუნდს ჩვენი ერთობლივი მუშაობით. 1995 წელს ჩავირიცხე საინჟინრო ტექნოლოგიურ ინსტიტუტში, ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე და პარალელურად ვარჯიში გავაგრძელე ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდში.

2001 წელს გადავედი რუსთავის სახელბურთო კლუბში და მონაწილეობას ვიღებდი საქართველოს ჩემპიონატში, სადაც მივიღე უფრო მეტი პროფესიული გამოცდილება.

2006 წელს დავბრუნდი ყვარელში და დავიწყე სამწვრთნელო საქმიანობა სასპორტო სკოლაში, სადაც საფუძველი დაედო იმ გუნდის ჩამოყალიბებას, რომელი გუნდიც დღეს ასეთი წარმატებულია და სტაბილურად ასპარეზობს ქვეყნის ჩემპიონატებში და ბოლო 12 წლის მანძილზე არ დარჩენილა საპრიზო ადგილების მიღმა.

***– რამდენი სპორტსმენია სპორტის ამ სახეობის გუნდში ჩაბმული და დროის რამდენი მონაკვეთია განსაზღვრული ვარჯიშების ჩასატარებლად?***

– სპორტის ამ სახეობაში დღესდღეობით ჩაბმულია 45 მოზარდი, ვარჯიშები ტარდება კვირაში ოთხჯერ, 2-2 საათის ხანგრძლივობით.

***– საინტერესო იქნება, რომ გვითხრათ და გვესაუბროთ თქვენი გუნდის საქმიანობის შესახებ. ამ წლების მანძილზე რა წარმატებებს მიაღწია ყვარლის სასპორტო სკოლის ხელბურთელთა გუნდმა?***

– ხელბურთელთა გუნდი „ყვარელი“ 2009 წლიდან სისტემატურად მონაწილეობს საქართველოს ჩემპიონატებში. აღსანიშნავია და საამაყოა ჩვენთვის, რომ ამ წლების განმავლობაში გუნდმა შვიდჯერ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის წოდება ქვიშის (პლიაჟის) ხელბურთში, ხოლო ექვსჯერ – კლასიკურ ხელბურთში.

***– ვიცი, რომ ძმა ემიგრანტი გყავთ. რატომ გახდა ემიგრანტი. ამჟამად რომელ ქვეყანაშია და თუ საიდუმლო არ არის, რას გვტყოდით მის შესახებ?***

– ძმა, რომელიც სოციალური პირობების გამო სამუშაოდ წავიდა რუსეთში, უკვე 37 წელია გასული და დღემდე ემიგრაციაშია, იგი ეხმარება ოჯახს ფინანსურად.

***– ცოტა რამ თქვენი მშობლების შესახებ და როგორია გოჩა ოჯახში როგორც მამა და როგორც მეუღლე?***

– მყავს მოხუცი დედა, (მამა გარდაიცვალა 2016 წელს). გოჩა არის მოსიყვარულე მეუღლე, მზრუნველი მამა და ცდილობს შვილები აღზარდოს ჯანსაღი ცხოვრების წესით და ჩააბას სხვადასხვა სპორტულ აქტივობებში.



***– ვიცით, რომ ყველაფერი ფინანსებთანაა დაკავშირებული. როგორი ხელშეწყობა გაქვთ ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან, განსაკუთრებით გასვლით თამაშებში?***

– ყვარლის ხელბურთელთა გუნდი ეკუთვნის სასპორტო სკოლას, რომელიც ფინანსდება ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის ხელშეწყობით. გუნდის შეჯიბრებებზე გაგზავნასთან დაკავშირებით ამ წლების განმავლობაში პრობლემა არ შეგვქმნია, რაზეც მადლობას ვუხდით ყვარლის მუნიციპალიტეტს და სასპორტო სკოლას.

***– რას გვეტყოდით თქვენი სამომავლო გეგმების შესახებ. რამდენად დიდია ამ სპორტით დაინტერესებული ახალგაზრდა თაობის მსურველთა რიცხვი?***

– რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, – ვცდილობთ შევინარჩუნოთ გუნდის ის მოთამაშეები, რომლებმაც მოიტანეს ეს წარმატებები. დღეისათვის სპორტის ამ სახეობით, სამწუხაროდ, ცოტა ახალგაზრდაა დაინტერესებული, ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება მეტი მოზარდი ჩავაბათ ხელბურთში და წარმატებული სპორტსმენები აღვუზარდოთ ყვარელს და საქართველოს ნაკრებს.

ჩვენი გაზეთის საშუალებით და ყვარლის ხელბურთელთა გუნდის სახელით, გვინდა დიდი მადლობა ვუთხრათ ყვარლის სპორტსკოლის დირექტორს, ბატონ ლევან მირიანაშვილს იმ ყურადღებისა და სითბოსათვის, რასაც ამ წლების მანძილზე იჩენდა და იჩენს ჩვენს მიმართ და ვუსურვოთ ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე.

***– ბატონო გოჩა, გმადლობთ ასეთი საუბრისათვის და ჩვენი გაზეთის სახელით გილოცავთ ახალ, 2023 წელს ოჯახთან ერთად. გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და შემოქმედებით წარმატებებს თქვენს სპორტულ საქმიანობაში.***

**ესაუბრა**
**დალი ტატულიშვილი**

# გამოიყენეთ ბუნებრივი ანტიბიოტიკები – იყავით ჯანმრთელი!

ხშირად, გაციების ან სხვა საჭიროების გამო, აუცილებელი ხდება ანტიბიოტიკების გამოყენება. ეს კი იწვევს იმუნიტეტის დაქვეითებას და სასარგებლო ბაქტერიების განადგურებას.

შესაძლებლობის ფარგლებში, კარგი იქნება თუ ქიმიურ საშუალებებს ბუნებრივით ჩაანაცვლებთ. წარმოგიდგენთ რამდენიმე ბუნებრივ ანტიბიოტიკს.

### მოცვი

მოცვის ნაყოფი მომჟავო ტკბილია, აქვს სამკურნალო დანიშნულება, კერძოდ ცოცხალი ნაყოფი აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, ამახვილებს მხედველობას, აცხრობს რევმატიზმს და სხვადასხვადა ანთებით პროცესებს.

ნაყოფისა და ფოთლის ნაყენი კი გამოიყენება დიაბეტის, შარდკენჭოვანი პათოლოგიის, თვალების ანთებითი პროცესების და სხვა დაავადებების სამკურნალოდ და პროფილაქტიკისათვის.

ბუნებაში კიდევ უამრავი ანტიბიოტიკია, მთავარია ჩვენი დამოკიდებულება იყოს ჯანსაღი ანუ თუ ეს შესაძლებელია გამოიყენეთ ბუნებრივი საშუალებები.

### ხახვი

ხახვს, მისი შემადგენელი ფიტონციდების წყალობით ბაქტერიოციდული თვისებები აქვს და ორგანიზმს დაავადებათა მიკრობების სეზონური შეტევებისგან იცავს. ეს რკინით მდიდარი პროდუქტი ანემიის პროფილაქტიკისთვის საიმედო საშუალებაა. ხახვში ბევრია კალიუმი, ასკორბინის მჟავა და ასევე სხვა ვიტამინები და მინერალები. სასარგებლოა მისი უმად ჭამა.

ხახვში არის უნიკალური ნივთიერება კვერცეტინი – ანტიოქსიდანტი, რომელიც სიმსივნური უჯრედების საწინააღმდეგო აქტივობით ხასიათდება. ხახვში გაცილებით მეტი ბუნებრივი შაქარია, ვიდრე ტკბილ ვაშლსა და მსხალში.

### კომბოსტო

ძლიერი ანტიბაქტერიული თვისებებით გამოირჩევა, არ არსებობს ამჟამად ცნობილი ვიტამინი, რომელიც კომბოსტოში არ იყოს აღმოჩენილი. მასში უხვად არის ნახშირწყლებიც.

კომბოსტოში შაქრები გლუკოზისა და ფრუქტოზის სახითაა წარმოდგენილი და მათი შემცველობა 1,9-დან – 5,3%-მდე მერყეობს, ზოგიერთ ჯიშში კი მშრალი ნივთიერებების 3/4-ს შაქარი შეადგენს.

კომბოსტოში არის ადამიანისათვის შეუცვლელი ამინომჟავებიც. მრავალფეროვანია მისი მინერალური შედგენილობაც: კომბოსტოში არის კალციუმის, კალიუმის, ფოსფორის, მაგნიუმის, ნატრიუმის, გოგირდისა და სხვა მიკროელემენტების ნაერთები.

კომბოსტოს ანტიბიოტიკური თვისებები ძლიერდება მისი დამჟავებისას.

### თაფლი

თაფლის 75-80%-ს შეადგენს ნახშირწყლები – გლუკოზა (31%), ფრუქტოზა (38%) და საქაროზა (1%). მათი დაშლისას გამოიყოფა ენერგია, რომელიც აუცილებელია ადამიანის ორგანიზმის სასიცოცხლო პროცესებისათვის. გლუკოზა და ფრუქტოზა ხელს უწყობენ ნერვული პროცესების დარეგულირებას, სისხლძარღვების გაფართოვებას, გულის კუნთის კვებას, ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლას.

თაფლი მასში შემავალი უნიკალური ცილა დეფენსინის გამო, ნამდვილი ბუნებრივი ანტიბიოტიკია. თაფლში შემავალ ნივთიერებებს გააჩნია ძლიერი ანთების საწინააღმდეგო, ობის საწინააღმდეგო და ბაქტერიოციდური თვისებები, ანუ თაფლი ანადგურებს დაავადების გამომწვევ მიკროორგანიზმებს და აფერხებს მათ გამრავლებას.

# ორიგინალური ეტიუდები

კაცობრიობის ცხოველმყოფელ ისტორიას ჩააბარა მან საკუთარი განვლილი სიცოცხლის გარკვეული წლები... მაგრამ მასში ჯერ კიდევ შფოთავს და ბობოქრობს მებრძოლი სული!...

მისი დაუცხრომელი, მაძიებელი ბუნება არ აძლევს გაჩერების უფლებას, უკან თითქოს ვიღაც მოსძახის – არ შეჩერდე! უცბად წარმოიდგინა, რომ სიცოცხლეს თავიდან იწყებს... რა კარგია უდარდელი ბავშვობა და ყრმობა. ბავშვობა ხომ თვით უკვდავებასთან არის წილნაყარი.

მისი გონება კვლავ გადაეშვა ფიქრების ღრმა მორევში. ფიქრები, ფიქრები, ფიქრები!... ამავდროულად ყურში ისევ გამუდმებით ჩაესმის შესანიშნავი ქართველი პოეტის შოთა ნიშნიანიძის დიდებული შემოძახილი:

„არ ჩაგეძინოს, არ ჩაგთვლიმოს,
სულ ამას ვშიშობ,
ჩემო ამაყო, მშვენიერო,
მამაცო ჯიშო.
არ ჩაგეძინოს, არ ჩაგთვლიმოს,
შეიბ მახვილი,
შეიბ მახვილი, შეისმინე
მგოსნის ძახილი!“

კარგია კეთილი სურვილები და ლამაზი ოცნებები,მაგრამ ოცნებებსა და სინამდვილეს შორის ხომ მუდამ დიდი უფსკრული ძევს. არსთა გამრიგეს თავისი კანონები აქვს. ეკლესიასტე ბრძანებს: „თაობა მიდის, თაობა მოდის, ეს ქვეყანა კი უცვლელია უკუნისამდე“.

თავადაც ბუნებით რომანტიკოსს, ნიკოლოზ ბარათაშვილზე ფიქრი აჰყვა. ტატოს მიერ სულის მშფოთვარებით დაწერილი ბრწყინვალე ლექსი „მირბის, მიმაფრენს“... არ სცილდება გონებიდან:

„მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ
ჩემი მერანი,
უკან მომჩხავის თვალბედითი
შავი ყორანი!
გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ
აქვს სამძლვარი
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი
შავად მღელვარი!“

„მერანში“ ბედთან მორკინალი მისი სულის მღელვარება ნათლად ჩანს. ქართველ რომანტიკოსთა პოეზია ხომ გრძნობების პოეზიაა, სადაც უხვადაა განცდები, აზრები და ფიქრები.

უკიდეგანო ფიქრისას შექსპირის ერთი სონეტი ახსენდება:

„დრო თუ გვაბერებს, დრო
გვიბრუნებს ახალგაზრდობას,
როცა მოხუცი მამის გვერდით
შვილი დადგება,
სიყმაწვილეში გაცემული ბოლოს
ფასდება
და სიბერეში სიჭაბუკედ
გამოგვადგება“.

სამყაროს ბოლომდე მაინც ვერ ამოიცნობს კაცობრიობა. საქმე ის არის, კაცს ცაში ღმერთი ჰყავდეს მადლობელი და დედამიწაზე – ადამიანი.

* * *

ყველაფერი იცვლება მზისქვეშეთში, ძველდება, ცვდება, იფიტება, კვდება, მტვრად და ფერფლად უბრუნდება მარადისობას.

სიყვარულს ვერაფერი დააკლო ჟამთა ტრიალმა და სიავემ. სიყვარული პირველმიზეზია ყოველივესი. ვიდრე ადამიანის გული სიყვარულს ინარჩუნებს, მისი დაბერება არ იქნება.

სამი ათეული წლის წინ უკრაინაში ყოფნისას ერთი აზრი ამედევნა და დღემდე არ მშორდება. ეს აზრი სიყვარულს უკავშირდება, რომლის გარეშე „...არ არსებობს ქვეყანაზე თვით უკვდავება“.

კიევში, მოცალეობის ჟამს წიგნებს ვათვალიერებდი, ხელში მომხვდა რუსულ ენაზე გამოცემული XVI საუკუნეში მოღვაწე ფრანგი ფილოსოფოსისა და მწერლის მიშელ დე მონტენის ფილოსოფიური ჟანრის თხზულება „გამოცდილებანი“.

მიშელ დე მონტენს სიყვარულის უმაღლეს გამოვლინებად მიაჩნია ანტიკური რომის სახელმწიფოს დიდმოხელის, კონსულ პეტის მეუღლის, ღირსეული ქალბატონის არიას გამაოგნებელი მოქმედება და მისი სიტყვები.

მონტენის გადმოცემის თანახმად, რომის იმპერატორმა თავის მოკვლა მიუსაჯა კონსულ პეტის. სიკვდილმისჯილს უძნელდებოდა საკუთარი თავის მკვლელობა, იტანჯებოდა და ვერაფერს ახერხებდა.

და, აი, საყვარელი მეუღლისათვის უკანასკნელი ნაბიჯის გასაადვილებლად ცოლმა მას ქარქაშიდან ამოგლიჯა მახვილი, მის თვალწინვე დაიცა მკერდში და ვიდრე სულს განუტევებდა, ასეთი სიტყვებით მიმართა თავის მეუღლეს: „პეტი, ეს სრულებით არ არის ძნელი და მტკივნეული“.

სიყვარულს არცთუ იშვიათად ახასიათებს უკიდურესობანი. დიდი სიყვარული ზოგჯერ დიდი ტკივილიც არის. ასეთია ჩვენი ყოფიერება და წუთისოფელი.

**ოთარ დავითაშვილი**

# საქართველოში საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ჯარიმები გაიზარდა

ცვლილებები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, რომელიც ითვალისწინებს საგზაო მოძრაობის დარღვევისთვის ახალი ჯარიმების დაწესებას, უკვე მიღებულია და ძალაში მიმდინარე წლის 27 დეკემბრიდან შევა.

ცვლილებების თანახმად, მძღოლის მიერ მოძრაობის დადგენილი სიჩქარის 40 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით გადაჭარბება 300 ლარის ოდენობით დაჯარიმებას გამოიწვევს; ხოლო იმ მძღოლის მიერ, ვინც რეგულარულ სამგზავრო გადაყვანას ახორციელებს – 400 ლარის ოდენობით.

წლის განმავლობაში განმეორებითი დარღვევა ასევე 400 ლარიან ჯარიმას გამოიწვევს. ხოლო თუ სიჩქარის გადაჭარბებას სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, ასევე ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება მოჰყვა, ჯარიმა 600 ლარი იქნება.

ასევე გაიზარდა ჯარიმები სანომრე ნიშნის და რეგისტრაციის გარეშე ავტომობილის მართვისთვის. მაგალითად, ისეთი ავტომობილის მართვა, რომელსაც მხოლოდ ერთი სანომრე ნიშანი აქვს ან ნომერი საქარე მინაზე აწერია, 100-ლარიან ჯარიმას გამოიწვევს, ხოლო თუ ავტომობილი არის საერთოდ სანომრე ნიშნის გარეშე ან შეცვლილი სანომრე ნიშნით, ჯარიმა 2 ათას ლარს შეადგენს.

დაურეგისტრირებელი ავტომობილის მართვა 300 ლარიან ჯარიმას გამოიწვევს, ჩამოწერილი ავტომობილის – 2 ათას ლარიანს. განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში ჯარიმა 600-დან 2,5 ათას ლარამდე შეადგენს.

დაკარგული ან დაზიანებული მართვის მოწმობის გამოყენება კანონიერად გაცემულ მართვის მოწმობასთან ერთად, ან ძალადაკარგული მართვის მოწმობის გამოყენება, ასევე მართვის მოწმობის დაკარგვისა ან დაზიანების შესახებ ცრუ



ინფორმაციის წარდგენა 150-ლარიან ჯარიმას გამოიწვევს.

ცრუ ინფორმაციის წარდგენა სხვა პირის მართვის მოწმობის გამოყენების მიზნით მძღოლს 700 ლარი დაუჯდება.

გარდა ამისა, დაბურული მინების მქონე ავტომობილის მართვა 100 ლარიან ჯარიმას გამოიწვევს თუ დაბურვის დონე 1-10%-ით აღემატება დასაშვებ ნორმას, თუ დაბურვა ნორმას 10%-ზე მეტით ცდება, ჯარიმა 500 ლარს შეადგენს. განმეორებითი დარღვევა 1000 ლარიან ჯარიმას შეადგენს.

შსს-ს წესების გვერდის ავლით ციმციმა, ხმოვანი სიგნალის ან დინამიკების გამოყენება პირველადი დარღვევის შემთხვევაში ისჯება 2 ათას ლარიანი ჯარიმით, წლის განმავლობაში განმეორების შემთხვევაში – 2,5 ათასი ლარით.

ათასლარიან ჯარიმას გადაიხდიან მძღოლები, რომლებიც მონაწილეობენ გზის ორგანიზებულ გადაკეტვაში ან ავტომობილების ჯგუფურ მოძრაობაში, რომელიც შემხვედრ ზოლსაც იკავებს.

შუქნიშნის ამკრძალავ ნიშანზე გავლის წესების დარღვევა, ასევე პრიორიტეტული ან ამკრძალავი ნიშნის მოთხოვნის დაუცველობა, გზაჯვარედინის, რკინიგზაზე გადასასვლელის გავლის წესების დარღვევა 100 ლარიანი ჯარიმით ისჯება.

კანონმდებლობის დარღვევით მგზავრების გადაყვანა ან ტვირთების გადაზიდვა ასევე 100-ლარიან ჯარიმას გამოიწვევს.

ხოლო მსხვილგაბარიტიანი ტრანსპორტის გამოყენება უფლებამოსილ ორგანოებთან შეთანხმების გარეშე ან თანხლების გარეშე 1000 ლარიანი ჯარიმით ისჯება, ხოლო თუ ამ დარღვევამ გამოიწვია ტვირთის, გზის საფარის ან საგზაო ინფრასტრუქტურის დაზიანება – ჯარიმა 2000 ლარს შეადგენს.

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის
**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**

ბრძანება:**ბ88. 88230458**
თარიღი:**14/02/2023**

**ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების მიზნით საჯარო აუქციონის გამოცხადების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის "ე.ე" ქვეპუნქტის; 61-ე მუხლის მესამე პუნქტის "ა" ქვეპუნქტის; ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის #669 დადგენილებისა და ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 10 თებერვლის #4 დადგენილების „ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზების, საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ თანახმად

**ვბრძანებ:**

1. გამოცხადდეს უპირობო საჯარო აუქციონი მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების მიზნით და დამტკიცდეს აღნიშნული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია (დანართი #1).

2. დაევალოს ყვარლის მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო და სააუქციონო კომისიის თავმჯდომარეს ზურაბ ნემსაძეს აუქციონის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით გათვალისწინებულ საინფორმაციო საშუალებებში გამოქვეყნება.

3. აუქციონის ჩატარება უზრუნველყოს ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 25 ნოემბრის #ბ88.88213295 ბრძანებით შექმნილმა ყვარლის მუნიციპალიტეტის ,,საპრივატიზაციო და სააუქციონო“ კომისიამ.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გურჯაანის რაიონულ სასამართლოში ერთი თვის ვადაში (მის: ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. #24).

გივი ზაუტაშვილი

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

# ყვარლის მუნიციპალიტეტი პრივატიზების მიზნით აცხადებს საჯარო აუქციონს ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე

| ლოტის № | ქონების დასახელება და მისამართი | არასასოფლო-სამეურნეო დან. მიწის ფართობი (კვ.მ.) | შენობა-ნაგებობის ფართობი (კვ.მ.) | საკადასტრო კოდი | საწყისი ფასი (ლარი) | „ბე“ (ლარი) | ბიჯი (ლარი) | მონაწილის ბილეთი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ს. ახალსოფელი | 15 | – | 57.02. 56.000.296 | 1800 | 360 | 100 | 50 |

**აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია:**
მაქსიმალური ფასის შემოთავაზება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის ფასს ბიჯის გათვალისწინებით.

**სააუქციონო პირობები:**
1. მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას ქონების შემძენი შეიძლება იყოს საქართველოს ფიზიკური პირი ან კერძო სამართლის იურიდიული პირი ან ასეთ პირთა გაერთიანება, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25%–ზე ნაკლებია.

2. აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი (შემდგომში მონაწილე) აუქციონის რეგისტრატორს წარუდგენს:

ა) განაცხადს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, ყვარლის მუნიციპალიტეტის ქონების დასახელებას, ყვარლის მუნიციპალიტეტის იმ ქონების საწყის ფასს, რომლის შეძენაც სურს მონაწილეს;
ბ) „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს; „ბე“–ს გადახდა უნდა მოხდეს ყვარლის მუნიციპალიტეტის შემდეგ საბანკო ანგარიშზე: სახელმწიფო ხაზინა, ხაზინის ერთიანი ანგარიში, სახაზინო კოდი: 300568800 (პრივატიზებისათვის);
გ) აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასი 50 ლარი, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში: 200122900; მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: 220101222; სახაზინო კოდი: 300563390;
დ) პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლს (ფიზიკური პირის შემთხვევაში);
ე) ნოტარიალურად დამოწმებულ მინდობილობას, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;
ვ)განაცხადის შეტანის მომენტისთვის მოქმედ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

3. მონაწილეს უფლება აქვს „ბე“ – ს დაუკავებლად აუქციონში მონაწილეობაზე უარი განაცხადოს, მხოლოდ განაცხადის მიღების პერიოდში.

4. აუქციონის დამთავრების შემდეგ დგება ოქმი, რომელიც წარმოადგენს წერილობით ხელშეკრულებას, ოქმს ხელს აწერს მყიდველი და ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის აუქციონის ორგანიზების მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის თავმჯდომარე, როგორც გამყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენელი.

5. თუ აუქციონში გამარჯვებული პირი უარს განაცხადებს აუქციონის შედეგების ოქმის ხელმოწერაზე, მას ჩამოერთმევა აუქციონში გამარჯვებულის სტატუსი და შეტანილი „ბე“ არ დაუბრუნდება.

6. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლების კრიტერიუმია საწყის გასაყიდ ფასსზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება;

7. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე გადაიხადოს ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო საფასური, რომელიც შეესატყვისება მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს.

8. გარიგებათა გაფორმების წესი და მყიდველის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების შესაბამისად.

9. აუქციონი ტარდება 2023 წლის 21 მარტსს 15 საათზე. აუქციონში მონაწილეობაზე განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2023 წლის 20 თებერვლიდან 21 მარტის ჩათვლით 12 საათამდე, სამუშაო დღეებში. მისამართი: ქ. ყვარელი, კუდიგორის ქ. №1

10. დამატებითი ინფორმაცია საპრივატიზებო ობიექტის და აუქციონი ჩატარების შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ ქ. ყვარელი, კუდიგორის ქ. №1-ში მდებარე ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობის მე-2 სართულზე; ტელეფონი: № 599 472 067; № 577 062 844; ყვარლის მუნიციპალიტეტი.

# ვაქცინაცია – დაავადებების თავიდან აცილების ყველაზე ეფექტური საშუალება

*დაავადებათა პრევენციის თვალსაზრისით ვაქცინაციის მნიშვნელობასა და როლზე გვესაუბრება სს „ევექსის კლინიკების“ ექიმი-იმუნოლოგი ᲗᲐᲛᲐᲠ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ.*



***– ქალბატონო თამარ, რა არის აცრა და რა მნიშვნელობა აქვს მას ინფექციური დაავადებებისგან თავდასაცავად?***

– აცრა, ვაქცინაცია, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა კომპლექსია. ის მძიმე ინფექციურ დაავადებათა პრევენციის ყველაზე ეფექტური საშუალებაა. დედამიწაზე ჩვენ გვიწევს ცხოვრება უამრავ მიკრობთან ერთად, ისინი სხვადასხვა გზით (მტვერი, ჭუჭყიანი ხელები, საგნები, ნერწყვი) იჭრებიან ადამიანის ორგანიზმში, მრავლდებიან, შედეგად იწვევენ ინფექციურ დაავადებებს, რომელთა ნაწილი საკმაოდ მძიმე მიმდინარეობით გამოირჩევა და ლეტალურადაც შეიძლება დასრულდეს. მძიმე ინფექციების გავრცელება, განსაკუთრებით გასულ საუკუნეში, ეპიდემიებსა და პანდემიებსაც იწვევდა, რასაც მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. პირველად გამოსავალი ინგლისელმა ექიმმა, ჯენერმა იპოვა 1796 წელს, როცა მრავალწლიანი მეცნიერული კვლევის შედეგად ძროხის ყვავილის ვირუსისგან შექმნა ყვავილის საწინაარმდეგო ვაქცინა. ტერმინებიც „ვაქცინა“ და „ვაქცინაცია“ მომდინარეობს „Variocele vaqcinae“-დან (ლათ. – ძროხის ყვავილი) და უკავშირდება ედუარდ გენერის სახელს. მოგვიანებით, 1991 წელს, ფრანგი მიკრობიოლოგის, ლუი პასტერის წინადადებით, რომელიც ასევე მეცნიერული ვაქცინაციის ფუძემდებლად ითვლება, ეს ტერმინები გავრცელდა სხვა ახალ ვაქცინებზეც, რომლებსაც მაშინ ქმნიდნენ. ვაქცინაცია ვაქცინის მიღებას ნიშნავს. სწორედ ვაქცინაციის შედეგად მიღებული საყოველთაო იმუნიტეტის წყალობით გახდა შესაძლებელი, გასულ საუკუნეში პლანეტის მასშტაბით ყვავილის ვირუსის ლიკვიდაცია, მსოფლიოს მნიშვნელოვან ნაწილში შეიზღუდა პოლიომიელიტის, დიფტერიის, ტეტანუსის გავრცელება, ეფექტიანობა დაადასტურა ისეთმა ვაქცინებმაც, როგორებიცაა ადამიანის პაპილომა ვირუსის, ჩუტყვავილას, გრიპის და ბოლოს კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა.

***– რომელი ინფექციური დაავადებებისგან გვიცავს ვაქცინაცია?***

– ამჟამად, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, არსებობს ლიცენზირებული ვაქცინები 25 სხვადასხვა დაავადების პრევენციისთვის. მათ შორისაა: დიფტერია, ტეტანუსი, ყივანახველა, პოლიომიელიტი, როტავირუსი, პნევმოკოკი, წითელა, წითურა, ყბაყურა, ადამიანის პაპილომავირუსის, გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინები. უნდა გვახსოვდეს, როცა ვიცრებით, ჩვენ არა მხოლოდ საკუთარ თავს ვიცავთ, არამედ სხვებსაც ჩვენ გარშემო. ზოგი ადამიანი, რომელსაც სერიოზული დაავადება აქვს და სპეციალისტები მას ვაქცინაციას არ ურჩევენ, დამოკიდებულია ჩვენზე. ვაქცინაციით, რომელსაც ჩავიტარებთ, შევამცირებთ დაავადების გავრცელებას!

***– რა სახის აცრები არსებობს?***

– ვაქცინა (ლათ. ვაცცა – ძროხა) ბიოლოგიურად აქტიური პრეპარატია, რომელიც უზრუნველყოფს აქტიურ შეძენილ იმუნიტეტს. ვაქცინა, როგორც წესი, შეიცავს აგენტს, რომელიც წააგავს დაავადების გამომწვევ მიკროორგანიზმებს. ვაქცინის შემადგენლობაში შედის დახოცილი (დიფტერია, ტეტანუსი, ყივანახველა) ან ცოცხალი (წითელა, წითურა, ყბაყურა, ტუბერკულოზი), თუმცა დასუსტებული (ატენუირებული) მიკროორგანიზმების არაინფექციური ფრაგმენტები, მთლიანი ორგანიზმები ან მათი ტოქსინები. აგენტი იწვევს ორგანიზმის იმუნური სისტემის სტიმულაციას. ამ დროს იმუნური სისტემა ამოიცნობს სხეულში შეჭრილ მიკრობს ან ბაქტერიას, წარმოქმნის ანტისხეულებს (ცილებს დაავადებასთან საბრძოლველად), იმახსოვრებს დაავადებას. თუ მომავალში ამ მიკრობს კვლავ გადააწყდება, იმუნურ სისტემას შეუძლია ის გაანადგუროს მანამ, სანამ მიკრობი ავადმყოფობას გამოიწვევს. ჩვენი იმუნური სისტემა შექმნილია დამახსოვრების მიზნით. მას შემდეგ, რაც ვაქცინის ერთ ან მეტ დოზას მივიღებთ, დაავადებისაგან დაცული ვრჩებით წლობით, ათწლეულობით ან მთელი სიცოცხლის განმავლობაში. ამის გამო ვაქცინა ყველაზე ჭკვიანი და ეფექტური გზაა დაავადების გამომწვევის გარეშე იმუნური პასუხის წარმოსაქმნელად.

ვაქცინა შეიძლება იყოს პროფილაქტიკური, რომელსაც შეუძლია შეამსუბუქოს ან აღკვეთოს მომავალში ბუნებრივი პათოგენით გამოწვეული ინფექცია, ან თერაპიული, რომელიც ებრძვის უკვე განვითარებულ დაავადებას.

***– რომელი აცრებია აუცილებელი?***

– იმუნიზაცია წარმოადგენს საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრიორიტეტს. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სავალდებულო იმუნიზაციას, რომელიც განისაზღვრება პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით. ეს უკანასკნელი მოიცავს ინფექციური დაავადების საწინააღმდეგო აცრებს დადგენილ ვადებში. ეს დაავადებებია: ტუბერკულოზი, ჰეპატიტი, დიფტერია, ყივანახველა, ტეტანუსი, პოლიომიელიტი, როტავირუსი, პნევმოკოკი, წითელა, წითურა, ყბაყურა, და ადამიანის პაპილომავირუსი.

***– რა პერიოდულობით უნდა გაკეთდეს აცრა?***

– აცრის პერიოდულობა დამოკიდებულია ქვეყანაში არსებულ ეპიდსიტუაციაზე, მაგალითად, გრიპის ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაცია, რომელიც სეზონურად ტარდება. გართულებული ეპიდსიტუაციის გამო შესაძლებელია იმუნიზაციის მასობრივი კამპანიის წარმოება. ასე მაგალითად, გვახსოვს წითელას აცრების მასობრივი კამპანია 2008 წელს. ასევე აცრები, რომლებიც უტარდებათ ადამიანთა კონკრეტულ ჯგუფებს. მაგალითად, რისკის ჯგუფის მედპერსონალს ჩაუტარდა ჰეპატიტის საწინააღმდეგ ვაქცინაცია. ყვითელი ცხელების საწინააღმდეგო ვაქცინაცია უტარდებათ მოგზაურებს აფრიკისა და ამერიკის კონტინენტის ზოგიერთ ქვეყანაში. აცრები უტარდებათ ასევე ადამიანებს, რომლებსაც ჰქონდათ შეხება სპეციფიკურ დაავადებებთან, ასეთია, მაგალითად, ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაცია (ძაღლის ნაკბენის გამო).

***– რომელი აცრა კეთდება ასაკობრივად და რა პერიოდულობით?***

– ასაკობრივად ტარდება პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით გათვალისწინებული აცრები, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ. გამონაკლისია ტეტანუსი, დიფტერიის საწინააღმდეგო ვაქცინაცია, რომელიც 14 წლის შემდეგ კეთდება ათ წელიწადში ერთხელ.

***– რატომ იწყება აცრები ადრეული ასაკიდან?***

– ჩვენი ქვეყნის პროფილაქტიკური აცრების კალენდრის მიხედვით აცრა იწყება სამშობიარო სახლში და 14 წლის ასაკში მთავრდება. სამშობიარო სახლის შემდეგ აცრა ორი თვის ასაკიდან გრძელდება. ასეთ ადრეულ ასაკში აცრების დაწყების მიზეზია ის, რომ ყველა ახალშობილს დედისაგან პლაცენტის საშუალებით გადაეცემა ამა თუ იმ დაავადების საწინააღმდეგო ანტისხეულები. ამიტომ წითელა, წითურა, ყბაყურა და ზოგი სხვა დაავადება იშვიათად ვითარდება წლამდე ასაკში. ერთადერთი დაავადება, რომელიც ადრეული ასაკის ბავშვს შეიძლება დაემართოს, მიუხედავად დედისაგან გადაცემული ანტისხეულებისა, ყივანახველაა. სწორედ ამით აიხსნება, რომ ყივანახველას საწინააღმდეგო ვაქცინაცია 2 თვის ასაკიდან იწყება, ხოლო წითელას, წითურას, ყბაყურას საწინააღმდეგო ვაქცინაცია – მოგვიანებით, ერთი წლის ასაკიდან. ასევე დადგენილია, რომ რაც უფრო ადრეულ ასაკში იწყება და სრულდება ვაქცინაცია, მით უფრო ნაკლებია აცრის შემდგომი გართულებების რისკი.

***– თუ ბავშვი დროულად არ აიცრა, შესაძლებელია თუ არა გამოტოვებული აცრების მოგვიანებით გაკეთება?***

– არათუ შესაძლებელი, აუცილებელია! 0-18 წლამდე ასაკის ყველა არავაქცინირებული ან არასრულად ვაქცინირებული პირი უნდა აიცრას ასაკის შესაბამისი ვაქცინით, ეროვნული კალენდრის შესაბამისად!

***– ორსულებისათვის განსაკუთრებით რომელი აცრაა საჭირო?***

– არსებობს ვაქცინები, რომელთა რუტინული გამოყენება რეკომენდებულია ყველა ორსულისათვის. დიფტერია, ყივანახველა, გრიპი – ეს ვაქცინები ორსულთათვის უსაფრთხოა. ორსულობის დროს აკრძალული ვაქცინებია ატენუირებული ანუ ცოცხალი და დასუსტებული ვაქცინები, მაგ. წითელა, წითურა, ყბაყურა, პოლიომიელიტი, ტუბერკულოზი.

***– არსებობს თუ არა კავშირი აუტიზმსა და ვაქცინაციას შორის?***

– ვაქცინაცია აუტიზმს არ იწვევს! შესაბამისად, არ არსებობს კავშირი მათ შორის, ეს საკამათო თეორია კვლევებით არ დასტურდება.

***– რა გვერდითი ეფექტები შეიძლება ახასიათებდეს ვაქცინაციას?***

– ვაქცინაციის შემდეგ გვერდითი ეფექტები გამოწვეულია უცხო სხეულზე იმუნური სისტემის პასუხით. ეს ნიშნავს, რომ იმუნური სისტემა მუშაობს. ეს ეფექტები, როგორც წესი, ქრება 2-3 დღის განმავლობაში (გამონაკლისია ანაფილაქსიური შოკი, რომელიც თავს იჩენს აცრიდან 30 წუთში, უკიდურეს შემთხვევაში – ერთ დღეში). ზოგიერთ ადამიანს გვერდითი მოვლენები საერთოდ არ უვითარდება. ყველაზე ხშირი გვერდითი მოვლენებია: ტკივილი, სიწითლე ან შეშუპება ინიექციის ადგილას, დაღლილობა, თავის ტკივილი, შემცივნება, ცხელება, გულისრევა. წითელა-წითურა-ყბაყურის აცრის შემდეგ რეაქცია შეიძლება იყოს 4-10 დღეში ტემპერატურის მატებით და გამონაყარით, რაც თავისთავად გაივლის.

***– ვისთვის არ შეიძლება ვაქცინაცია?***

– ვაქცინაცია კატეგორიულად არ შეიძლება ნებისმიერი მწვავე ან ქრონიკული დაავადების გამწვავების დროს! კატეგორიულად არ შეიძლება ასევე, თუ ვაქცინაციის პირველ დოზაზე განვითარდა ანაფილაქსია. ცოცხალი ვაქცინებით (მაგ. წწყ) ვაქცინაცია არ უტარდებათ შიდსით ან სიმსივნით დაავადებულებსა და ორსულებს. დიფტერია-ყივანახველა-ტეტანუსით აცრა დაუშვებელია პროგრესირებადი ნევროლოგიური დაავადებებისა და ეპილეფსიის დროს.

**ᲚᲐᲚᲘ ᲩᲮᲘᲙᲕᲐᲫᲔ**

# ყვავილების ბაღი – „საბუერა“, ახალი ცხოვრების დაწყება ქალაქგარეთ და არანაირი გამოცდილება მიწასთან...

*„საბუერა“ – სოფელ საბუეში გაშენებული ბაღია, სადაც საუკეთესო ჯიშის ყვავილები ხარობს. ამ ბაღის მეპატრონე მზია ბოჭორიშვილია, რომლის პროფესიაც არანაირ კავშირში არ არის მებაღეობასთან და ყვავილებთან, თუმცა ამას, ხელი არ შეუშლია მისთვის ბაღი გაეშენებინა და საკუთარ ბიზნესად ექცია. ამასთან დაკავშირებით, თავად მზია გვესაუბრა:*



***– მზია, როდის და როგორ დაიწყე ეს საქმიანობა, რატომ მაინცდამაინც ყვავილების ბაღი?***

– საერთოდ აღმოსავლური ენების ფაკულტეტი (ებრაული) დავამთავრე.

პროფესიად კი გრაფიკული დიზაინერობა ავირჩიე.

8 წელი ლონდონში ვცხოვრობდი და ვმუშაობდი. ვთანამშრომლობდი სხვადასხვა კომპანიასა თუ გამომცემლობასთან.

2009 წელს საკუთარი სურვილით დავუბრუნდი საქართველოს.

ჩემ საქმიანობას ინტერნეტის საშუალებით ვაგრძელებდი. რამოდენიმე წელი ლონდონში ცხოვრების დროს, უკვე ვოცნებობდი სადმე ქალაქისგან შორს, ბუნებაში მეცხოვრა (საერთოდ თბილისელი ვარ).

დავიწყე საოცნებო ადგილის ძებნა ძირითადად კახეთში.

ერთ მშვენიერ დღეს, სოფელი საბუე აღმოვაჩინე და სხვაგან ძებნა აღარც მიცდია. აქ ვიპოვე სახლიც, ადგილიც, ბუნებაც...

2020 წელს, გაზაფხულზე, 22 მარტს პანდემიის გამო ქალაქებს შორის მიმოსვლა იზღუდებოდა... მივაშურე კახეთს და მას შემდეგ უმეტეს დროს საბუეში ვატარებ.

ყვავილების ბაღის გაშენების იდეა მერე გაჩნდა – მეგობარმა მთხოვა ინფორმაცია მომეძებნა ყველაზე მოთხოვნად ყვავილზე – გიფსოფილაზე. მანამდე ყვავილთან, მცენარესთნ შეხება მქონდა ნულოვანი. ოთახის ყვავილებიც კი არ მქონია.დავიწყე ინფორმაციის მოძიება გიფსოფილაზე. ძიების პროცესმა რათქმაუნდა ჰოლანდიასთან მიმიყვანა. აქ, ნებისმიერი სანერგე გერმანიაში „მეპატიჟებოდა“ გამოფენაზე. ეს არის გამოფენა, რომელიც ყოველ წელს იმართება გერმანიაში, ქალაქ ესენში.

გამოფენამ ძალიან დამაინტერესა. მე და ჩემი დისშვილი ზაზა ბერიძე – ჩემი ბიზნეს პარტნიორი და „საბუერა“-ს თანადამფუძნებელი დიდი ინტერესით გავემგზავრეთ ესენში,სადაც დაგვხდა საოცრება, ყვავილების წარმოუდგენლად ფართო არჩევანი, უსაზღვრო ფერთა გამა, დიდი პოტენციალი... 3 დღე (2019 წლის იანვარი) იყო უსაზღვროდ ნაყოფიერი დღე...



გაზაფხულზე უკვე საბუეში გვქონდა ნერგები,რომელიც პირდაპირ ჰოლანდიიდან გამოგვიგზავნეს. რათქმაუნდა, გიფსოფილაც – 4 საუკეთესო ჯიში. თამამად შემიძლია ვთქვა რომ ჩვენ ვართ პირველები საქართველოში გიფსოფილას გაშენება, მოყვანა, გაყიდვაში.



გიფსოფილას მოყვა სხვა ყვავილებიც იტალიიდან 12 ფერის საუკეთესო ჯიშის რანუნკულუსები, მზესუმზირები, ლიმონიუმი...

რატომ ყვავილები?-ეს საოცარი ფერები, ფორმები, სტრუქტურა... ლამაზ დღეებს ქმნიან! კიდევ მნიშვნელოვანია, რომ მოთხოვნა ყვავილებზე ყოველ წელს იზრდება. ჩვენ ვცდილობთ ის განსაკუთრებული ჯიშები შევთავაზოთ მომხმარებლებს, რომლებიც შორეული ქვეყნებიდან იმპორტით შემოდის საქართველოში. ანუ, გვაქვს შესაძლებლობა ახლად მოკრეფილი, ლამაზად შეფუთული ყვავილი შევთავაზოთ მომხმარებლებს.

***– რა ძალისხმევას მოითხოვს ეს საქმიანობა და რამდენ ხანში შეიძლება მიაღწიო სასურველ შედეგს?***

– თავიდანვე ვიცოდით რომ საინტერესო თუმცა რთული წელი გველოდა!

ახალი ცხოვრების დაწყება ქალაქგარეთ, არანაირი გამოცდილება მიწასთან და მცენარეებთან. ამიტომ,პირველ წელს დავარქვით – ექსპერიმენტის წელი...

ამ გადმოსახედიდან მიკვირს, როგორ შევძელით 20-ამდე სხვადასხვა სახეობის ყვავილის მოყვანა და რეალიზაცია. კოლოსარული შრომა დაგვჭირდა და არ გავჩერებულვართ. დადგა დეკემბერი და განვლილი პერიოდი შევაჯამეთ, აღმოჩნდა, რომ შევიძინეთ აგრო გამოცდილება, შევისწავლეთ საკუთარ გამოცდილებაზე მოსაჭრელი ყვავილების ბაზარი, „საბუერას“ უკვე ყავს მუდმივი მომხმარებლები. მიუხედავად უამრავი დაშვებული შეცდომისა, გამოუცდელობის გამო, უკვე გაწერილი გეგმით დავიწყეთ ახალი სეზონი. დღესდღეობით აგრონომიულად სწორად გამართული ნაკვეთი გვაქვს: წვეთოვანი სარწყავი სისტემა, ნიადაგი დაფარულია აგრო ქსოვილით, სწორად შერჩეული გვაქვს სასუქები. 2023 წელი სიახლეებით დავიწყეთ. ჩვენ მომხმარებლებს ვთავაზობთ „საბუერაში“ გამოყვანილ ყვავილის თესლებს. გაზაფხულიდან კი დავიწყებთ ჩვენი ყვავილების ნერგების გაყიდვას.

***– თქვენ მხოლოდ ყვავილის თესლებს ყიდით, თუ ყვავილებსაც?***

– „საბუერას“ ძირითადი საქმიანობაა მოჭრილი ყვავილების მოყვანა-გაყიდვა (თბილისი, თელავი, ყვარელი).

2023 წლიდან ვაფართოებთ საქმიანობას.

მომხმარებლებს შევთავაზებთ ჩვენს მიერ გამოყვანილ ყვავილის თესლებს, ჩითილებს და ნერგებს

***– რეალიზაცია ხომ არ გიჭირთ, რამდენად მოთხოვნადია...?***

– მიუხედავად იმისა რომ საქართველოში არის ოთხივე სეზონის, ღია გრუნტის მეყვავილეობისთვის იდეალური კლიმატური პირობები, ჩვენთან მოჭრილი ყვავილების იმპორტი ოთხჯერ



აღემატება შიდა წარმოებას, ხოლო ექსპორტი უმნიშვნელოა. ჩვენი მეურნეობა მოიცავს 2000 კვ.მ.-ს. მოგვყავს სამი სეზონის მოჭრილი ყვავილები კვალსათბურებსა და ღია გრუნტში. ვაწარმოებთ ყვავილების მიწოდებას თბილისსა და კახეთის რეგიონში. გვყავს მუდმივი მომხმარებელი.

მოჭრილი ყვავილების მოყვანა ყოველთვის საკმაოდ სტაბილურ შემოსავალს იძლევა, მაგრამ დიდ ძალისხმევას და დროს მოითხოვს. ჩვენ შევარჩიეთ მოთხოვნადი ყვავილების ჯიშები და დღემდე ეს ნიშა გვიჭირავს.

***– თუ არის ეს სფერო განვითარებული საქართველოში და პროფესიონალი მებაღეები თუ გვყავს?***

– რეალურად, მოჭრილ ყვავილებზე მოთხოვნილება იზრდება ყოველწლიურად, ბევრი ახალი სალონი და მაღაზია იხსნება, თუმცა როგორც ავღნიშნეთ იმპორტი აღემატება შიდა წარმოებას, რაც თავისთავად მიანიშნებს ამ სფეროს მწირ განვითარებაზე. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ შესაძლებელია რადიკალურად შეიცვალოს ეს ვითარება საქართველოს კლიმატური და ლოჯისტიკური პოტენციალის მეშვეობით.

ჩვენ მოჭრილი ყვავილებზე აგრო ტექნოლოგიების გამოცდილება მივიღეთ უცხოელი მომწოდებლების რჩევებით, ინტერნეტით საჭირო ინფორმაციის მოძიებითა და საკუთარ გამოცდილებით.

***– გყავთ დასაქმებული ვინმე, თუ თქვენ თვითონ აკეთებთ ყველაფერს?***

– სეზონურად საბუერაში დასაქმებულია 2-4 თანამშრომელი სამუშაოს მოცულობიდან გამომდინარე.

***– საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, რას ურჩევდით დამწყებ მებაღეებს, რა უნდა გაითვალისწინონ ბაღის გაშენებისას?***

– მიიღონ შესაბამისი ცოდნა მცენარეებზე. შეისწავლონ ბაზარი.

***– სამომავლოდ, როგორ წარმოგიდგენია შენი ბაღი?***

– გამოცდილებამ გვაჩვენა რომ პატარა (2000 კვ.მ.) ნაკვეთზე გაშენებული ყვავილების ბაღი ფინანსურად მომგებიანია, თუნდაც კენკროვან კულტურებთან შედარებით. ჩვენი პრიორიტეტი ცოდნა და გამოცდილებაა. წელს 3 ყველაზე მოთხოვნად მოჭრილ ყვავილს შევთავაზებთ მომხმარებლებს. ამავდროულად საქმიანობას განვავრცობთ ჩვენს მიერ "საბუერაში" გამოყვანილი ყვავილების თესლებისა და ნერგების გაყიდვით.

***წარმატებებს გისურვებთ!***

**ია გიგიაშვილი**



# სპორტი




## თავისუფალი ჭიდაობა

მიმდინარე წლის 7-10 იანვარს, ქალაქ ბათუმში ჩატარდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში უფროს ასაკში, სადაც შესანიშნავად გამოვიდნენ ყვარლის სასპორტო სკოლის აღზრდილები.

რობერტ დინგაშვილმა შესანიშნავად იჭიდავა 57 კილოგრამ წონით კატეგორიაში, დაამარცხა ყველა მეტოქე და დამსახურებულად მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედალი. (მწვრთნელები ვანო ჭანტურიძე, გივი მეტრეველი).

70 კილოგრამ წონით კატეგორიაში მხოლოდ ფინალური შეხვედრა დათმო და ვერცხლის მედალს დასჯერდა ნიკოლოზ ბუშელაშვილი. (მწვრთნელი მალხაზ როზომაშვილი).

61 კილოგრამ წონით კატეგორიაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა გიორგი ღონიაშვილმა (მწვრთნელები გივი მეტრეველი, ვანო ჭანტურიძე).

აღსანიშნავია, რომ ზურაბ იაკობიშვილთან ერთად აღნიშნული სპორტსმენები ირიხცებიან საქართველოს ნაკრებში და ემზადებიან ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებისთვის.

**ალეკო ქაფიანიძე**

## თავისუფალი ჭიდაობა



მიმდინარე წლის 7-10 იანვარს, ქალაქ ბათუმში ჩატარდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში ვაჟთა შორის, სადაც წარმატებით იასპარეზა შილდელმა მოჭიდავემ ნიკოლოზ ბუშელაშვილმა. 70 კილოგრამ წონით კატეგორიაში მან პირველ შეხვედრაში აშკარა უპირატესობით 10:0 დაამარცხა თბილისელი ნიკოლოზ გელაშვილი; მეორე შეხვედრაში კი შარშანდელი საქართველოს ჩემპიონი და ევროპის პრიზიორი თავისუფალ ჭიდაობაში – დავით ქელეხსაშვილი. ნიკოლოზმა ნახევარფინალში ასევე სძლია ევროპის ჩემპიონს ახალგაზრდებს შორის, ქუთაისელ გიორგი ჭოლაძეს, ხოლო ფინალური შეხვედრა 23 წლამდე ასაკის ახალგაზრდებს შორის დათმო შარშანდელ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონთან, ამბროლაურელ გიორგი ელბაქიძესთან და ვერცხლის მედალი მოიპოვა. ვულოცავთ ნიკოლოზ ბუშელაშვილს ამ გამარჯვებას, ახალ წელს და წარმატებებს სპორტულ სარბიელზე ჭიდაობაში. (მწვრთნელი მალხაზ როზომაშვილი).

**დალი ტატულიშვილი**

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. დამფუძნებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დირექტორი
ალექსანდრე გიგილოშვილი
მოადგილე
ნუგზარ ღონიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ია გიგიაშვილი
კორესპონდენტი
დალი ტატულიშვილი

რედაქციის მისამართი:
ქ. ყვარელი, კუდიგორის №2
საკონტაქტო ტელეფონი:
22-01-86